


ლიტერატურული განცემი

№4 (356) 1 - 14 მარტი 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



დათო მაღრაძე

ცერილი თბილისელ გეგობარს

თუ საიქიოს საბაჟო პუნქტში
ნაცნობივნახე,
ჩემი ფანჯრიდან
მამადავითის ხედს გავიყოლებ.
საკუთარი ეპიგრაფი

თბილისი... უხდება ნიკალას ბრენდი და
იხსომებს ჯიგრებს და ივიწყებს არიფებს
და მამადავითის დახრილი ფერდიდან
სამრეკლო აქვეყნებს ქალაქის მანიფესტს.
ქალაქი ძეველია,

სიტყვა კი ახალი...

და სიტყვას ახალი კანონით შევკონავ...
ვიხუმრე, ხომ გახსოვთ ყვავის და ბახალის
იგავი, პირმშორომ ბაჯაღლო ეგონა.
...თუ სიტყვის კონანი ახალი კანონით
შევკონე, რომც გაცვდეს ხერხემლის მალები,
ვნუგეშობ, გავიდეს რომც საუკუნენი,
მომავალს წარსულში არ დავემაღები.

— შემინდე, მკითხველო! — ამ ფრაზამ წამილო:
— მომავალს წარსულში არ დავემაღები! —
მალე მოვბრუნდები თბილისში, *damico*,
სხვა სივრცემ მომტაცა უეცრად თვალები.
...პოეტმა აფიცრის მუნდირი ვეზიდე,
ქვემების ხმა როცა შევიდა ძალაში,
მკიდია ორდენი, —
მოვკითხავ პრეზიდენტს,
თუ ერთი ადგილის დაიწყო თამაში.
მარტივი თუ არა,
არც ისე რთულია,
ამაზე მეტყველებს სამრეკლოს განგაშიც:
— სადაც ყველაფერი ნებადართულია,
იქ თავისუფლება აგდია საკანში.

და ისევ თბილისი...

ნიკალას ბრენდი და...
ვიღაცა ჯიგრობას აბრალებს არიფებს
და მამადავითის დახრილი ფერდიდან
სამრეკლო აქვეყნებს განგაშის მანიფესტს.
რესტორან „გორგასლის“ შეფ-პოვარს ვუკეთავ,
რომ მისი შეფობით ვახტანგის მეფობა
ორ ბოთლში ვიგრძნო და
ვთქვა: — ახლა უკეთ ვარ!
და ალბათ ეს განცდა ხვალამდე მეყოფა.
სვალ ისევ „მორიგე ლიმილი“ მედუნის
სანოტო სისტემა ლოთობის ფონია...
და იქნებ მტკვრის შხეფის
ორდენი მეკუთნის,
რომ მოვფენ ქალაქში ახალ სიმფონიას.

უფალს რომ მოსწყინდა, ნიადაგ სოლო რომ
ემდერა, იკითხა:
— ხმას ვინმე თუ მეტყვის?..
და აესვა წერტილი ღვთაებრივ მონოლოგს
და შედგა ღმერთის და ბოეტის დუეტი.
ზეცაში საფრენად და საბოდიალოდ
რომ სცადა კავშირი ცალმხრივი ყურმილით, —
ტატომ დაამსგავსა პოეტთან დიალოგს
უფალის დიადი მეტყველი დუმილი.



ბეთლემის ბაგაშიც ხმა ორად-ორია,
ისმის დედა-შვილის ჩურჩული ალერსის, —
როცა საშობაო ულერს ორატორია
ბახის იოჰანეს სებასტიანესი.

და ვფიქრობ, მარგალიტს ბიუჟ რომ ვერ მოერ-
ევა და ვერ წაშლის საყურის ეპოქას,
განვაგდებ ფეიკს და
თაყვანს უცემ ვერმეერს!
ამ დილით მივწერე თბილისელ მეგობარს.
...მამასთან უძლების შესვედრის სანაცვლოდ
შესვედრის ფეიკი... რემბრანდტან ბოდიში,
და მამა სახლის წინ...
და მამის *palazzo*...
მაძლარი მემკვიდრის ამაო ლოდინში.
...მხატვარმა ტურისტულ ტურების მეთევზე
გაშალა ბადე და წაშალა ფეიკი, —
ჩანს არნოლფინების სარკესთან კედელზე
ნარწერა:
„აქ იყო იან ვან ეიკი“.

მუქარით გასრულდა სამიტი დავოსის,
ქუხს ემის სარდალი
ლიმონკის საყურით...
გაჩრილა მინისტრი გენდერულ ქაოსის,
როგორც *Pink Floyd*-ის „კედელში“ აგური.
აშშ-ს ავლანურ კრიზისზე სამყარომ
ისუვლა:
— აკელამ ნახტომი გამაზა!

და ვცდილობ, რომ თავი არა თუ დავხარო,

არამედ ლირსებით გავსწორდე ლამაზად.

და ფრაზა: — აკელამ

ნახტომი გამაზა!

ნიშნავს, რომ ინყება ცვლილების ეპოქა,

ნიშნავს, რომ აინევს სალექსო თამასა

და ამის შესახებ ვაცნობე მეგობარს.

და მინდა, მივმართო თვითეულ *Citizen*-ს
— მე, სუსი მისმენს და
გთხოვთ, თქვენც რომ მისმინოთ!
რომ ჭექა-ქუხილით მლელვარე მიტინგზე
არ მოღის წვიმა და
გა ვით ვა ლი ის წინო თ...
მე, ციდან დანიშნულს, ხუმრობას ვაგრძელებ,
ერი მზრდის და მერე ქვეყანა მავალებს,
მას, რომ ალავერდი
ნავართვა ყანწელებს, —
მეკუთნის მტკვრის შხეფის
ორდენის კავალერს.
რომ იქნებ როგორმე მიტინგის ბათოსი
შეცვალოს თბილისმა ნატიფი მოტივით,
რომ საქართველოში „მერანი“ ტატოსი
ისმოდეს ნაციის
კულტურულ კოდივით.

პოზიცია

ეთერ თათარაიძე

შიძრები შავშეთის ცყალ-ცყალ

თქვენ ნალვარ ცრემლის ტბორში
სახრჩობელა' დავალ,
ეამ ბალლამის მორევით
გავაწევ, ვერ გავალ.
გულ ხო მანდ გაგინირეთ,
ჩემ ცრემლიც მინამატებ,
სამარეს, უუჭ, სულფონად
ჩავალ, ჩავალ, ჩავალ.

IV-V

დალილა ბედიანიძე VIII-IX
მირანდა ერისთავი IX

პროზა

ზურაბ ლავრელაშვილი II-III
ბაჩო კვირტია VII
გოგა გუგავა XVI

მოგონება

ზოია ცხადაია
ლალი გულისაშვილზე X-XI

რეცენზია

მაია ჯალიაშვილი
ჯემალ ინჯიაზე XI

ინტერვიუ

გელა ჩქვანავა XIII-XIII

თარგმანი

ალფრედ პოლგარი
თარგმნა

ნათია მეჩითიშვილმა XIV

საადი შირაზელი

თარგმნა

გიორგი ხულორდავამ ... XIV-XV

შირლი ჯექსონი

თარგმნა

ელისაბედ ფირცხალავამ XV

ԲԱԱՅՈ

ქვემოთ მრუმე სარკის ზედაპირუეთ
ლიცლიცებს ტბორი. წყალზე მწერები და-
ფრინავენ და ჯუნგლიდან ღრიალა მაიმუ-
ნების ბუხუნა ისმის. დონ როკე უკუსვლით
ბოლოს საფეხურსაც ჩაათავებს და ქვაბუ-
ლის ფსკერზე დგება, მერე შებრუნდება და
გაოცებული შეძებება: ყავის ხე გამჭრალა,
თითქოს მიუღლევათ, მის ნაცვლად კი
ნიადაგში გაჩენილ ღრმულში ბიჭუნას სძი-
ნავს. წმინდაო მარიამ, რა ხდება?! დონ
როკე დამეხილივით დგას, ბიჭუნას დასცე-
კერის. ის კი ტკბილად ფშვინავს, თავი ოდ-
ნავ გვერდით გადაუგდია, ფუნჩულა ხელი
ტიტველ მუცელზე უდევს. შიშველია, არა-
ფერი მოსავს, თეძოზე შემოხვეული თეთრი
ტილოს ქსოვილის მეტი. დონ როკეს ველა-
რაფერი უნამებია, რა ქნას, რა იღონხს.
ცალკერძ ბიჭის აქ ნახვა აკვირვებს და ცა-
ლკერძ — ყავის ხის გაუჩინარება. ბიჭს
ალბათ ჯუნგლში გზა აებნა და სენოტეს
გადააწყდა. ხვრელი ვერ შენიშნა და... მაგ-
რამ რა უნდოდა ბიჭუნას ჯუნგლში? თანაც
ჩამოვარდნილისა არაფერი ეტყობა, არც
დამტვრეულა და არც ლაფში გათხვრილა,
ბროლივით სუფთაა... დონ როკე ულვაშს
აცმაცუნებს და ნაბიჯის წადგმა ვერ გადა-
უწყეტია. სად გაქრა ყავის ხე?! ნუთუ ბი-
ჭუნამ ამოთხარა?! როგორ, რანაირად ამ-
ოგლივა ამ პატარა არსებამ უკვე ფესვმა-
გარი ბუჩქი?! ხვრელის თავზე თეთრი ღრ-
უბელი მიიზოზება, უცებ თანადათან შავდე-
ბა და გამოქვაბულში ტკაპანი ისმის. რო-
გორც იქნა, ამდენი ხნის გვალვის შემდეგ
განვიმდა და გამომმრალ მინას მაცოცხლ-
ებელი ცავარი ესხურა. წვეთები სენოტეშიც
ცვივა და ბიჭს აღვიძებუნ. დონ როკე შეჩქ-
ვიფებული უცქერის, როგორ ახელს პატ-
არა თვალს და ბერიკაცს ულიმის. ჰო, რო-
გორც ღრმა ბილისაგან გამოფხიზლებუ-
ლი ბავშვები იღვიძებენ და დიდებს ულიმ-
იან...

დონ როკეს შერცხვა, თითქოს რამდე
დაეშავებინოს, თავი გადააქნია და ბიჭი-
საუნდ წარადა.

— ადექი პატარავ, დასველდები.
წვიმა უკვე გვარიანად აჩქაფუნებდა, ქვბალის ფსკერზე ტბორს აჩენდა. მაგრამ საოცარია, რომ შეხავუნა ნაცადი ბიჭს გვერდს უვლიდა და ღრმული მშრალი იყო. ბიჭს თითქოს უხილავი ქოლგა იფარავდა. არადა, პირდაპირ ხვრელის შუაში იჩვა და წვიმას უკვე ძალიან უნდა დასველებია.

ღმერთო დიდებულო, რა ხდება! სასწაულია, მაშ რა არის! ბიჭმა წვიმის ჩქერს ხელისგული შეუშვირა და გაოცებულმა დონ როკებ დაინახა, როგორ უგანეს წვეტებმა პატარის ნებს...

„მაშინვე მივხვდი, რომ ეს სასწაული იყო, — უთხრობდა მოგვიანებით დონ როკე მეზობლებსა და შინაურებს, — ოღონდ ვერკი ვიაზრე, ის პიჭუნა ღმერთ ჩააკის ვაჟიშვილი თუ იყო.“

„იქნებ გესიზმა, დონ როკე?“

„არ გჯერათ? ეს კი ჩააკოთახაც ვიყავი
სტუმრად. თანაც ბიჭი ხომ თქვენც ნახეთ,
მეზობლები?“

კვალდაკვალ და დაღლას არ იმჩნევდა..
დონ როკე ხანდახან მიუხედავდა ხოლმე,
ჩამომრჩა თუ მომსდევების. მუცელაგამობე-
რილი ბიჭი შეუპოვრად მოაბიჯებდა, სახე
თითქოს გამუჯებოდა და მიწას დასჩრე-
ბოდა. უცნაური ბიჭი იყო, სხვა პატარებს
როდი ჰკაგდა, ბავშვისათვის შეუფერებ-
ლად ერთობ სერიოზული და მდუშარე.
ახლაც უჩუმრად მიუყვებოდა კიბირჭიან
ბილიკს, ქანაობდა, თუმცა არ ეცემოდა და
დონ როკესაც უკვირდა, ვინ აძლევს ძალას
მთაზე ასასვლელადო...

ხრიოკ ფერდობზე აქა-იქ კორომებად
ჩანდა ჯუნგლის უხვი მცენარეულობა.

ბრუნებულიყოფი?! ცხვრების დაკარგვაც ენ-ანებოდა და ბიჭის დარღიცი ჰქონდა, ვაითუ მარტო დარჩენილი შემინდეს ან ქევნარ-მავალმა დაგესალოსო. ბოლოს, საშუალო ვარიანტი ირჩია — მინდვრის კიდეს გაუყ-ვა ზემოთკენ და ბიჭაც ხშირ-ხშირად მო-უხედავდა ხოლმე. ამ სიარულსა და აქეთ-იქით ცეცხებაში რალაც ნანგრევს გადააწყ-და, იმის მსგავსს, რაც ქვემოთ ნახა, და რაც ღმერთ ჩააკის სამლოცველოს ნაშთი იყო უთუოდ. აქაც ხომ გათლილი ქვების ყორე ჩანდა, შაბბში გამომკრთალი ქანდაკების ნამსხვრევი თუ ბარელიეფის ნაშალი... დონ როკეს უზეცეულო სიგრილემ მოპბერა და უნებურად შეკრთა. ეგრე შორს და მალოა არასოდეს ამოსულა, არ მიახლოებია ჩაკის სავანეს და მართალია, ცოტა ეჭვით ეკი-დებოდა თანატომელთა რწმენას, მბოლავ მთას სხვა დროს მაინც გარს უვლიდა და ერიდებოდა. ეს შიში იყო, დაბადებიდნვე ჩანერგილი კრძალვა უზენაესი მპრანანგ-ბლისადმი და ადამიანი კრთოდა, თუნდაც ჩაკის ნამდვილობა არ ადეკვატურებინა. დონ როკეც სწორედ ამ შიშმა შეიცყრო, დაბლუ-ჯა, გულ-მუცელში სწვდა და ლამის შიგნი ამოუტრიალა, მერე კი დაჩიქებაც აიძუ-ლა. მოხუცი ფერმერიც ოხვრით დაეშვა ჩინქზე და გრუზზა თავი მორიდებით დახა-რა.

ზემოთ კი, მნვერვალზე, ნისლები მიმოდიოდნენ, იქსაქსებიდნენ, ისევ ერთდებოდნენ და რაღაც საშიშარ მოხაზულობას ქმნიდნენ. დონ როკე გულში ჩააკა ესიტყვებოდა, ამოშმონებდა, თავისი ოჯახისა და თანატომელებისათვის წყალობას ეაჯებოდა. ნისლები უფრო მოხშირდა და ბალახის ფოთოლზე წვეთმა გაიწავსუნა. „კარგია, ინვიმებს,“ — გაიფიქრა გახარებულმა დონ როკემ, კმაყოფილმა, რომ ჩააკმა მისი აჯა შეისმინა. ნუთუ მართლა აქ ცხოვრობსო, გადაეჭინა თავი და წამოდგრომ დააპირა. მერე გაახსენდა, ღმერთები რომ ყველგან არიან და ყველაფერი ესმით, ჩურჩულით ნათევამიც კი; ჰოდა ჩააკმაც აკი გაიგონა მისი ლოცვა-ვედრება! ის იყო ასადგომად წამოინა, ბიჭი რომ დააინახა...“

„ის იყო... ჩაკი... — უყვებოდა მერეთანატომელებს დონ როკე, — მთის ფერდობზე იდგა და ორივე ხელით გოგრის ამფორები ეჭირა. სახე მოხუცისას უგავდა.“

დონ როკეს შიშით ენა წარტვა, წახდა, აირია და ისევ ჩიქზე დარჩა. ბიჭს პირდალებული შესცეკრიდა და თუმცა აქამდე გუმანით ხვდებოდა, რომ ის ჩევეულებრივი ბავშვი არ იყო, ნანახმა მაინც დაზაფრა, რადგან მის მიერ ნაპოვნი და ნასათუთევი ბიჭუელა ახლა წვიმის მბრძანებლად გადაქცეულიყო, ჯუნგლის რისხვად, მცენარეთა მეურვედ — იმად, ვინ მანამდე იყო, ვიდრე დონ როკეს ადამიანური ალით გამოუჩნდებოდა.

ჩია, თუმცა ჩასკვნილ ჩააკას განი ჩამუქებოდა და სახე მონერებოდა, გრძელი, მოკაცული ცხვირი ზედა ტუჩზე ჩამოპფარებოდა, პირიდან კი ოჯახი გამოსხროდა....

კაცუნამ მყვარივით დაიყოყინა და ამ-
ფორას დასწვდა. ამბოირავებული ამფო-
რალუ მწერაში სისტემა აუმჯომარესდა.

დონ როკეგ ახლა ბიჭს მიხედა, თუმცა
იქ არავინ იყო. მოხუციც წამოიყაყავა და
შინისაკენ წალასლასდა. მღელვარებამ ქა-
ნცი გაუზყვიტა და ერთი სული ჰექონდა,
პამაკში როდის წაუქინებდა. მალე ლმერ-
თები ალარ შეაწუხებენ. ჰო, ისინი დროდა-
დრო სტუმრობენ ადამიანებს, თუმცა აქა-
ურობა მათვის უცხოა მინიც... დონ რო-
კეს კი უყვარდა ეს მიწა, თავისი წილი ცა,
მდინარე, სენოტე, მცენარეები, თავისი
ცხვრები და ქათმები... ლმერთები კი დაუ-
დეგრები არიან. მართალია, ზოგჯერ კაც-
თა შორისაც ცხოვრობენ, მაგრამ მოუსვე-
ნარი ზე ერთ ადგილას არ აჩერებთ და

სწრაფადებე გასწევენ ხოლმე ზეცად, დედა-
მინა კი უმათოდ რჩება... ვინ მიხედავს მერე
ამ ღროს ქვეყნიურებას?! ვინ მოიყვანს წვი-
მას, ვინ აღმოაცენებს მწვანილს და ვინ
გაზრდის სიმინდს? შობუცს ფიქრი ერო-
და თავში და რაღაი პასუხი არ იცოდა, ნა-



ზურაბ ლავრენიშვილი

ბიჯი აჩქარა, თთქოს უამურ საფიქრალს გაეცეოდა. ბორცვიდან დაინახა თავისი ქოხი, ქურასთან მოფუსფუსე ცოლი, ეზოში მობორიალე ქათმები და ცოტა მოშორებით — საძოვრიდან თავისით დაბრუნებული ცხერები...

მალე შინ იქნებოდა და მეტი არაფერი სურდა.

ინტერვიუ პორჩესთან

შვ: სენიორ ბორხეს, თქვენ ერთხელ სამყარო ვრცელ ბიბლიოთეკას შეადარეთ. როგორ გავიგორ ეს მეტაფორა?

ბორხესი: სამყარო წიგნია, რომელსაც რამდენიმე გვერდი აკლი.

მე: თქვენი აზრით, სად შეიძლება მოვიძოთ ეს ფურცლები? ბიბლიოთეკის რომელი განვითარებაში?

ბორხესი: ისინი ბიბლიოთეკაში არ ინახება. ჩვენ უნდა დავწეროთ.

მე: როგორ?

ბორხესი: ძველის წაშლით და ზედ ახლის გადაწერით.

მე: მაშასადამე, სამყარო პალიმფსესტი ყოფილა.

ბორხესი: დაია, ასეა.

მე: პალიმფსესტი ძველზე ახლის გადაწერა. წიმნავს თუ არა ეს, რომ ააღა ნაწერი ძველის იდენტურია?

ბორხესი: თქვენ არ შემცდარხართ. ეს მართლაც ასეა.

მე: რაღა საჭიროა ახლის ნერა, თუ ის ძველის მსგავსია? მით უმეტეს, სენიორ ბორხეს, რომ ამით დაკარგულ ფურცლებს ვერ შევაგებთ! მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ სამყაროულ ბიბლიოთეკაში ფურცლებით განსაზღვრული იდენტობაა.

ბორხესი: უკვე გითხარით, რომ ის ფურცელი, რაც სამყაროს აკლია, ბიბლიოთეკაში არ ინახება.

მე: მაპატიოთ, ვერ მიგიხდით... აკი ბორგანეთ, რომ ძველის წაშლით და ახლის შექმნით იმ დაკარგულ ფურცლებს აღვადგენთ!

ბორხესი: ამას მიახლოება ჰქვია — ჩვენ იმის იმედით ვრცელ ახალ ტექსტს, რომ ერთიც იქნება ის დაკარგულ ფურცლების შინაარს დამტკიცებება...

მე: ახლა გავიგე: ნაკლულ გვერდებზე შესაძლოა ის ტექსტიც ენეროს, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ბორხესი: მახარებს თქვენი საზრიანობა, ყმანვილო! ხსნებული მეთოდი მაშინ აღმოვაჩინე, როცა „დონ კიხოტის“ რამდენიმე გვერდი უცვლელად გადავწერე და განსაცვიფრებელი რამ მივიღე — თუმცა ტექსტი იგივე იყო, ავტორი მაინც მე ვიყვავ!

მე: მართლაც განსაცვიფრებელია. თუ ყველა ცნობილ ნიგნის გადავწერთ, იმ ტექსტს მივიღებთ, რომელიც ჯერ არ შექმნილა! ასეა განა?

ბორხესი: სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, ხშირად დაუწერელი წიგნები უფრო მეტ გვალენს ახდენებ ჩვენზე, გიდრე დანერილი-მეთქი. ეს ერთი და იგვევა.

მე: რა?

ბორხესი: ტექსტი. მხოლოდ ავტორები იცვლებიან.

მე: განა რამდენი დუბლიკატის შექმნას შევძლებთ! თანაც, თუ ფურცლები სამუდამოდ დაკარგულია, როგორლა შევიტყობთ, რომელია მათი მსგავსა?

ბორხესი: იქნებ თქვენ მართალიც ხართ, მაგრამ ამ მეთოდს თავისებურებაც ეგაა, რომ შექმნება არ შევიძლია... რაკი მიზნაც დაკარგული ტექსტის პოვნა დავისახეთ, ჩვენ დაუსრულებლად ვერმინით პალიმფსესტს, თუნდაც სამისი და სამყაროს ხელახლი გადაწერა მოგვიხდეს.

მე: მშ, ძნელი პერსეპტივაა... გმადლობთ საუბრისათვის.

ნენ და მკვლელმა იცოდა, რომ ორივე თავად იყო, ოლონდ მოსაუბრენი მაინც სხვები იყვნენ და მის დაუკითხავად ესიტემებით დონენ ერთმანეთს. თვითონ ავტომატივით იყო — ცივი, ფხილები, შემართული. „დაელოდე,“ — თქვა ისევ ვილაცამ. „ჰო,“ — გაეპასუხს სხვა. მკვლელი იცდიდა. დერეფანში ნაბიჯის ექი მინდგა. მერე გასადები გაჩახაუნდა. ეტყობა, ვილაცას კლიტები გასაღები ჩასჭედოდა და ნვალობდა, ცდილობდა გასაღები ბუდიდან ამოელო ან ეარ დაეკეტა, მაგრამ ამაოდ აბრუნებდა კოდევ და კოდევ კლიტები გასაღებს. „როგორ ხე დება...“ დერეფანიდან საფრთხოს შიშმ მოვნონვდა. მკვლელმა ახლის მოვალეობით ითავისებოდა. ფიქრის ნატამალიც არ უწინდებოდა თავში. მარტო საფრთხოს შიშმ იპყორიბდა და თვალს აცეცებდა, თითქოს მისი ამბავი ქვეყანას იცოდა და ახლა ხელს სტაცებდნენ და დატერდნენ. ჰო, ვერ შეძლებს... იმის მისებდა და, რომ აწყინების, საჯაროდ დამცირეს... მერე მოკეცად და ჯიბები ჩაიდონ. ხმაური მინებდა. მკვლელი მარტო იყო უცხო ბინაში მის თავში და დიალოგი წამოიწყო, მაგრამ მკვლელს ამჯერად მათი ხმა ესმოდა. ხედავდა კი, როგორ იქნებდნენ ისინი ხელებს და ერთმანეთზე ინევდნენ. მერე ისინი გაქრინება და უკვე სხვამ ჰკითხა:

„იმას თუ მოკლავ, რა მერე?“
„დაგისვენებ.“
„ძალიან გძულს?“
„ორო...“
„რა დააშავა?“
„დამამცირა, დამცირა, სხვების სამასხაო გამახადა...“
„სხვების?“
„ჰო.“
„მერე ის სხვები...“
„რა?“
„ის სხვები რას ფიქრობენ შეწიე, როგორ განია მარტო და უკვე დაგცინებენ, იმას რომ არაფერი ეთქვა?“
„ჰა!“
„აღიარე, დაგცინებდნენ თუ არა?“
„არ ვიცი.“
„იქნებ იმან სხვისი აზრი გაიმეორა?“
„სულ ერთია, დამცირა, დამამცირა.“
„იქნებ მარტო სასაცილო ხარ?“
მკვლელმა გაიგონა, როგორ ჩაიხითხოთა ვიღაცამ მის ახლო.

„აღიარე, დაგდა და გადასაცავი გაიგონა და უკვე დაგცინებენ თავში. მარტო საფრთხოს შიშმ იპყორიბდა და თვალს აცეცებდა, თითქოს მისი ამბავი ქვეყანას იცოდა და ახლა ხელს სტაცებდნენ და დატერდნენ. ჰო, ვერ შეძლებს... იმის მისებდა და, რომ აწყინების, საჯაროდ დამცირეს... მერე მოკეცად და ჯიბები გასაღები ბინაში მის თავში და დიალოგი წამოიწყო, მაგრამ მკვლელს ამჯერად მათი ხმა ესმოდა. ხედავდა კი, როგორ იქნებდნენ ისინი ხელებს და ერთმანეთზე ინევდნენ. მერე ისინი გაქრინება და უკვე სხვამ ჰკითხა:


„იმას თუ მოკლავ, რა მერე?“
„დაგისვენებ.“
„ძალიან გძულს?“
„ორო...“
„რა დააშავა?“
„დამამცირა, დამცირა, სხვების სამასხაო გამახადა...“
„სხვების?“
„ჰო.“
„მერე ის სხვები...“
„რა?“
„ის სხვები რას ფიქრობენ შეწიე, როგორ განია მარტო და უკვე დაგცინებენ, იმას რომ არაფერი ეთქვა?“
„ჰა!“
„აღიარე, დაგცინებდნენ თუ არა?“
„არ ვიცი.“
„იქნებ იმან სხვისი აზრი გაიმეორა?“
„სულ ერთია, დამცირა, დამამცირა.“
„იქნებ მარტო სასაცილო ხარ?“
მკვლელმა გაიგონა, როგორ ჩაიხითხოთა ვიღაცამ მის ახლო.

„აღიარე, დაგდა და გადასაცავი გაიგონა და უკვე დაგცინებენ თავში. მარტო საფრთხოს შიშმ იპყორიბდა და თვალს აცეცებდა, თითქოს მისი ამბავი ქვეყანას იცოდა და ახლა ხელს სტაცებდნენ და დატერდნენ. ჰო, ვერ შეძლებს... იმის მისებდა და, რომ აწყინების, საჯაროდ დამცირეს... მერე მოკეცად და ჯიბები გასაღები ბინაში მის თავში და დიალოგი წამოიწყო, მაგრამ მკვლელს ამჯერად მათი ხმა ესმოდა. ხედავდა კი, როგორ იქნებდნენ ისინი ხელებს და ერთმანეთზე ინევდნენ. მერე ისინი გაქრინება და უკვე სხვამ ჰკითხა:

„იმას თუ მოკლავ, რა მერე?“
„დაგისვენებ.“
„ძალიან გძულს?“
„ორო...“
„რა დააშავა?“
„დამამცირა, დამცირა, სხვების სამასხაო გამახადა...“
„სხვების?“
„ჰო.“
„მერე ის სხვები...“
„რა?“
„ის სხვები რას ფიქრობენ შეწიე, როგორ განია მარტო და უკვე დაგცინებენ, იმას რომ არაფერი ეთქვა?“
„ჰა!“
„აღიარე, დაგცინებდნენ თუ არა?“
„არ ვიცი.“
„იქნებ იმან სხვისი აზრი გაიმეორა?“
„სულ ერთია, დამცირა, დამამცირა.“
„იქნებ მარტო სასაცილო ხარ?“
მკვლელმა გაიგონა, როგორ ჩაიხითხოთა ვიღაცამ მის ახლო.

„აღიარე, დაგდა და გადასაცავი გაიგონა და უკვე დაგცინებენ თავში. მარტო საფრთხოს შიშმ იპყორიბდა და თვალს აცეცებდა, თითქოს მისი ამბავი ქვეყანას იცოდა და ახლა ხელს სტაცებდნენ და დატერდნენ. ჰო, ვერ შეძლებს... იმის მისებდა და, რომ აწყინების, საჯაროდ დამცირეს... მერე მოკეცად და ჯიბები გასაღები ბინაში მის თავში და დიალოგი წამოიწყო, მაგრამ მკვლელს ამჯერად მათი ხმა ესმოდა. ხედავდა კი, როგორ იქნებდნენ ისინი ხელებს და ერთმანეთზე ინევდნენ. მერე ისინი გაქრინება და უკვე სხვამ ჰკითხა:

„იმას თუ მოკლავ, რა მერე?“
„დაგისვენებ.“
„ძალიან გძულს?“
„ორო...“
„რა დააშავა?“
„დამამცირა, დამცირა, სხვების სამასხაო გამახადა...“
„სხვების?“
„ჰო.“
„მერე ის სხვები...“
„რა?“
„ის სხვები რას ფიქრობენ შეწიე, როგორ განია მარტო და უკვე დაგცინებენ, იმას რომ არაფერი ეთქვა?“
„ჰა!“
„ა



ეთერ თათარაიძე

შუ'ბრალებლად განაგლევ
ჩემ ტკმილ ოპიზავ...
—

ტაო კლარჯეთს როცა მი'ვლ*,
ცაზე წილით მფრენ ჩიტ
მე ვიქნებ, არ დაშინდ,
უბედობას ვტირივარ.
იქ ყოფნის მემრ იქავ დავრჩ,
ეკლესია-მონასტრებს
ჭელ ავად არ მიხლოთავ! —
მუდმივ დამას ვკივივარ.
ჩემ სისხლ მრიალებივ
გამიმრავლევ, უფალოვ,
ეს მინა ხო ჩემიავ,
სუ დამას დაეხეივივარ.

ტაო კლარჯეთს როცა მი'ვლ,
ცაზე წილით მფრენ ჩიტ
მე ვიქნებიდ, არ დაშინდ,
უბედობას ვტირივარ...
—

*მი'ვლ — როცამოივლი.

ღმერთო, ფრინველად მაქცი,
დაღლილ ფთების ფრაშ-ფრაშით
ტაო-კლარჯეთს მოვრინდდ.
ცისფერ ცაზე ავმაღლდე-დ
ლურჯ ფრინველად ნაქცევარმ
გაქაულ ცრემლ მოვილდვ.
ჩემ ცრემლის დანაპკურალ
ყვავილიბად განაშალმ
ყველა' ნატვრა მოვდევ.
ედემის ბალად ნაქცევმ
გულში დაასხვაებ დარდ
მოვიგლიჯოდ მოვიფხვ.
რა' ტკივილ ხარ, მინაო,
ჩვენდ ძალით ნაგლეჯილო,
ეს ტანჯვა ვინ მიმზდვ...
—

უსაბუთოდ შედიხართ
ჩვენ წანაგლევ მინებზე,
რამდენ ხანსაც სულ მოგთხოვსთ.
ჩამოსხდებით, დასტურებით,
ხან ცრემლის ლვრით გულს იკანთ,
ხან მზის სწორა' დასხდებით.
ფთებფათეუნით ცისკ' ინევთ,
ახლ ცხვა მამულს და' წყდებით,
ჩემ უსაბუთო, მაგრამ
ყველა'ზე საბუთიან
უსაყვარლეს ჩიტებო...
—

დავენისები თუ სუ ასარ
უნდ მტკიოდეს ტაო,
გი' დარებსა ქართულ ცაა
თუ მზეიც მოვ, თავო.
სიცოცხლეში გადაგცვლიდ
მანდის ნაკეტ გზაო,
დაგვიბრუნ წანაგლევარ,
ჩვენ ტკმილ უფლის ფხაო,

მშვიდობის მტრედო, მოფრინდ,
გაფრინდ ყვავო-დ ჭკაო,
ტყვეობითა გამი'ვსენ,
ღმერთო, კლარჯეთ ტაო.

ხებიბე, ფერენაზი-დ ემინეი-დ თეთროვ
გულს ამოქრილ ქალებზე
ფიქრო, მნენტზე-მნენტო.
დაღლილ დაქანცულებო,
გლიმდუ' ძვრელა' მდედრო.
სევდიან ღიმ პირსმშლელნო,
ტკივილს თბენით მგბრინი.
თავის ცა-ქვეყნის, ახლ ცხვათ
განაღუდარს მჭვრეტნო.
ემინეი-დ ხებიბე, ფერენაზი-დ, თეთროვ...
თვალ-გულს ნაივურ ფრესკებს
მინაფერებნ, ღმერთო!..

უჰ, გულხელი-დ გულგანსნილ
ქალ-კაცებით, ბალებით
შემიგვეგებ საზგირელ.
მტრობაიც კი ვიცით, მაგრ
ერთმანეთის სიყვარულ
არვის მგვანე, რა ძლიერ.
ცას მონაგარდე ფრინველ
მეჩვენებიდ განახარ, —
ირაოს სკრავდ ფთაძლიერ.
სიყვარული დამრჩენელ
გადამრჩენიდ უცვეთელ
სისხლ არ გაგვიცდ, რა ხნიერ.

ჰო, ცოტა ხნით შევერევ
ჩემ კლარჯეთისა-დ ტაოს,
გულზე ტალღებს გადავიყრ
მელავზე ეკლის ტაოს.
შევერევი-დ თაგს ვიხვევ
სანუხილრის ეპოსს,
მუქლის კვერზე დანამხობ, —
ბედ არ გინერავისავ,
ვამე, ჩემ თაოვ.
ვამე, შორს ნანირო,
წანაგლეჯარ მინაო,
ამ დროს ყველაზე ახლოს
ველ-მინდორი-დ მთაო,
კდეთა კუნჭრუსა' ებო,
სათითად მლაშე ცრემლ
ზედ ნაღვარო-დ ნალკო
ჩემ მინაოდ' — წყალო...
—

აი, ხანძთის წყაროსთან
კანკალით ვენაფებით
სიყვარულის მოსაჩელ
უუნმინდეს წყაროს.
გაზაფხულ ჩემფით მომდენს,
შემოდგომას ჩანამშვიდს,
ზედ მზის სხივებ ჩანატებობს,
ხან ვარსკვლავებ დანაფენს.
ხან მრუმსად უმთვაროს,
აი, ხანძთის წყაროს ვსვამთ
მკურნალ-განამტებრობს...

უსასრულო სიზმრად მექც
წანაგლეჯარ მამულო,
მზემინაფენ ფერდობნო,
ჭევებო დახრამულო.
მადლით ამსულ ჩვენ წილო,
მტრისგან გადამალულო,
მადლ ვერ წართმულ ტაძრებო,
ლოდნას გადაღალულო.
ერთ დროს მაინც დაღბრუნდებ,
ჩვენგნით ანაწმაურო.
იმედ მისაბუდრდების
ვიც, გუმანო, ქალურო,
უსასრულო სიზმრად მექც...
წანაფლეთარ მამულო!

კარ-კურები ჩამოთვლილ, —
რა' გვერც ვიცოდეთ,
ჭევა'ის სოფლებისა-დ
ტქმილად ითქმოდეს:
ხუცეარიდ ვაჩევარ,
მჭედლანკარ, ქონიბან,
უანუბან, კუპრეთ,
ელასხევ... მდუმრებ —
ტკივილ-ტანჯვის მდგმურებ
კარ-კურები ჭეობის
თავის ბედის მდურვლებ...
—

ჩამოედ, ჩამოვიტან
შენ ტაძრების ეზო-კართ
მობიზბიზე ყვავილებ.

ჩამოედ, ჩამოვიტან
შენ სევდიან მრუმ ცაზე
ყვავ-ყორნების წავილებ.
ჩამოედ, ჩამოვიტან
შვლის ნუკრიან ტყეები-დ'
ნიავს თავხრილ წარ-ირმებ.
ჩამოედ, ჩამოვიტან
განაღესარ ცისკ წასულ
კდე-ჭიუხებ თვალუწდენ.
ჩამოედ, ჩამოვიტან
სოფლებ თივა ნათიბარნ
გზა-ბილიკებ საურმენ.

ჩამოედ, ჩამოვიტან
სისხლო, მომიცვედიაავ, —
შესანახარ საუნჯედ.
ჩამოედ, ჩამოვიტან
შენ ტაძრების ეზო-კართ
მადლ მონაფენ, დაულევ...
—

თორთომის ტბა ხევიანის,
ორ მთა რო ჩამოშლილა-დ
მდინარე ჩუ' კეტავის,
თვალგუ' წვდენ ტბად რო ქნილ.
ვამ ტბის პირებს რო მიხყვებ
სახრინბელა' სადარდელით,
შიგ ნეტა ვინ-რა ჩამარხ,
სადარდელის ტყვედ ქმნილ.

თორთომის ტბა მთრთოლვარე,
ბერა-დუ' ძვრელ, ჭენაერეფ,
მოდიხარი-დ თან მოგდევს,
ლურჯ ფრინველად რო ქნილ...

მთის მწვერვალზე ერთადერთ
სახლ ჩინს ქართველისაა,
სიმარტოე ურჩიავ,
ეშინის „გათქვეფისაა“.
შენ გეკუთვნის „ჩვენ გვირგვინ“
გოლგოთის გაძლებისად,
შენ ჩვენ სისხლო-დ წორცო!

გიორგის

შუა ასაკს განაყარ, სახელად გიორგ მქვიან,
ხანძთისა-დ დანარჩენგან უზარებლად დაგვეტან,
ალა-მართალ ქართველ კაც, პირს მზე ნაფევარ.
მთელ დღე ჩევნთან გა' ვლო, წამლად დაგვენამლ.
ბოლოს უკვენ ჩამოსხლით შინ უნდ შემოხვიდეთავ,
ნამდვილ მასპინძლობა სწი, დაგვადნ-დაგვექარგ.
განამზებებ ცოლ გვახედრ, რა' იღ შეგვთავაზეს
გულებ ნალვერდალო...

ჩემდ ყველაზე ძვირფასივ, „ჩემ დედიკოს, ქამბლებივ“ სიჯეილეში ეცვავ — გულს იკრ ნამეტან. ასთა უნაკლო ქართულ, ქამბალს აქ ვეღარ ნახავთ, ხალხო, დნახავთ ნაფლეთართ, ქართველობა ვერ ნართმულ გიორგიიც იმედად ხყავის სამშობლოს...

მათეს

ოც საათ გზაში ნატანჯ, ბაზგირელ ბიჭ განამზევ, ჩევენთან რიდით ამოვდ.

სტამბულითა მოდიოდ „მარიონის“ დასწრებად, უუ, ღრმა ქართველ გამოდგ.

რა' გვერც კი ბაზგირეთის მინა გადავევეთეთად თვალითა ცრემლ ჩამოხტდ,

მინა გასწი, წელ გადაყვ: ჩემ სამშობლოს ნიავოვ, — წელით ნიავს მე' ფერა',

ბაგეს ღიმილ გამოხყვ, საქართველოს ნიავოვ, თვალითა ცრემლის სანთლებ, უწყვეტელად ჩამოქნ...

მათე, ბაზგირულ ნიავს ისტამბულისკ განამგზავრ, წელ გადუ' სვი-დ ასტირდიდ: ჩემ სამშობლოს ნიავოვ, შეხვედრამდევ — უთხარი...

ძიოს ივეთ, იფხრეულ, ზაქიეთა-დ უბეა, ჩევენბის სახლნ-ნასახლარნ ჩამდგარნ ცრემლის გუბედ. წევნვრილიდა' დიობან, ფეწეზე გარევ მყუდენ, ზოგ თვალ შორით მონაკავენ, ზოგ ფეწკანკალ მზიდევ. „ჩამეკანენთავ!“ ძახილ, ლურჯ ცას განაკიდევ...

არტანუჯის ციხეი-დ შატპერდ, ხანდთა ოპიზა, მუქლს დამხობილთ მოვვლეთ, სუ თან გვეტან ღვიძერდ ტემილ უფალიც ლოცვას არც ჩევენ მოესცდენთ.

ათას ჯურის ტკივილით, ათას ჯურის სადარდლით განმძგავებ, ნაწუმარ, გუდას პირ ვერ მოვხხენთ.

ყველაფერ ხო არ ითქმებ, „წეტა ჭკვიანთ, მიმთმენთ!..“

ტბეთის წმიდა ტაძარ იყვ, ბოლოს ქვებ რო ვუკოცნეთ, გარეშემო ვუარეთ, არ გვეთმობივ, — ვუფლორცეთ, ბოლოს დათმობა მოვგინდ, ბოლოს სათლის ციხე იყვ, ზედ მფარე ცა ვუკოცნეთ, იქნებ მეტად ვეღარ გნახვ, ჩემ სუ გულს ჩამარხულო, ტაო-კლარჯეთ უცოცხლესვ, ნაგლეჯილო-დ ნართმულო — მაგრამ სამარადისოდ ჩევნო, ჩევნო, ჩევნო...

ლურჯ ცისფერი მდინარეა, პარხლის წყალ რო ხევიან, ბოლო მართლმადიდებლებ აქ ვატყდნესავ, თქვანა. ბოლო მღვდელს აქ უნირავ ქართულ მადლით სეიანს, პარხლის ტაძარ იტანჯებ, შიგ ახლ მეჩეთ მგრგვინავ. ვაიმე, ჩემ პარხალო, ლურჯ ცრემლის ღრმა ტბიანი...

გაზირეთში

ჭმირ უპანში, თეთრ სახლში უსასრულოდ ნანვევ ვარ, რა' გვერც სახლის დედა ამაზე ტკმილს რა' ს ინატრ?!

მათეა დამატიშა თავის შინ...

ოთხთა ეკლისისა სიამაყე გამომყვ, ტკივილად გძეელ კედლებზე ხე-ბუჩქნარებ ჩამომყვ. ჩევენ ჩევენ წინაპრებსონ არ, არ, ვერ რა' გვერ რა' ს მოვხყვ. ოთხთა ეკლისითავ თვალს-რცრემლ, გულს ღოდ ჩამომყვ...

ბაზგირეთის ფესტივალ, საზგირელზე ასვლა, ძირ-ცელექართველო ფერხულებ, სიყვარულის თავსხმა, ერთმანეთიზდ უვიწყარ, სიყვარულში დანთქმა. ასასა წლის ბერნენეი-დ „ჭლიკ მტკივავ“ თქმა-ართქმა, ბაზგირეთში ერთკვადის სიყვარულით შთანთქმა.

კარწახის ულელტეხილმ ჯვარწერილად გაგვისტუმრ, უფალ ჩევენთან ატარ. სევდის ცრემლის ტბორებში ლოცვა-საგალობლებით ტაო-კლარჯეთ გვატარ. გმდლობ, ჩემ ტკმილ უფალო, შენ მზიან გულ თან გვაყოლ, შენ კალთა' რო გვაფარ.

ხახული-დ ოშკ, უფალო, რა' გულსა-დ თვალს ა'გები, შიგ ამდენა მადლ-მირონ გამეტებით შა'ლები. გვედრ, უფალო, შოორ ნიავს ცოტა მადლ აქ მა'ლები.

ქაჯის ციხით დავიწყეთ, — მართლ მიწიერთ ნაგებია, იშხან მონაწყენარ დგას, ათას ურვა ნაგემიი. ბანას გარეშემო მოებ, უფლის სხივებ ნაფენი. აამდენ განცდებ მონარგენნ, ლამე პარხალ ნათენი, აგარაში — ნათენი.

სათვალე დაკარგულს (ლამის სრულიად ბრმას) მაი-კ მანჯგალაძემ ტაძრის სანგრევებიდან ვინ იცის, ვისი დარწენილი სათვალე გამომიტანა ტაძრის გარეთ და მოვისინჯე და სამყარო „გაცისერდა“... მადლობა... ბანას...

ოოჳ, დედო, ბერზე ვადავრშჩ, ბანას ხილვამ დამაბუნებ, სასწაულიც მომინყო-დ, თვალთ სინათლით დამაბრუნ...

მარიობა ხქიანა-დ ოდესმე, აღბათ დამას „მარიამობა“ ექვივნ, კაბა სუუ ბილომდ ნაშლილ სევდიანებ მოდიან, თვალნამიან, თავხრილნ, მაინც ლხინად მოდიან. დიდ დედასთან, თან ტკმილნ...

ჩამოედიდ გულ მანდ ვმარს დედად სათქმელ ტაოო, ასა მინამწვდარ, კდენალეს ტაძრებ ნაფენ მთაოო — ნამოედიდ სულ მანდ დამრჩ, ტკივილად ქნილ კლარჯეთო. ჯერ კიდევ ღრმა ქართულით ნატანჯარო-დ მტანჯველო. ჩამოედიდ სიდ გაგნირ ან ვიზდ, ტაო-კლარჯეთო.

ტაო-კლარჯეთს

უშენოდ ეს სამშობლო, — მარჯვენა მკლავ ნაბაკვეთ, მანდ განირულ ცხელ გულში სუ ცრემლიდ კუპრ ჩანანვეთ. აქისაკედ-იქისაკ განაგლეჯარ-განაფლეთ, მაინც რა' ძალა გქონი? ჩემ ნატანჯარ სამშობლოვ...

ახლ მალ დაზამთრდებისა-დ თეთრ სამოსში განასუდრ მთა-წვერთ შე' ფარებით...

რა' იც დავბრუნდ, ხო გითხარ, გულ მანდ გაგინირევ...

ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში გვახლდა 9 სტუდენ-ტი, ცხრავე გოგონა.

ცხრა მომავალ დედა გვყვანდ, ცხრაივ უტემილეს, ცხრაივ ბროლის კმილიან, სიცილ-უმძივეს. ცხრაივ მზესავით თბილა' თვალებ უსხივეს, ცხრაივ ტკმილად დამიბერ, გვედრ, ჩემ უფალო!

ჩამოედიდ გულ მანდ დამრჩ, ჩემ ტკმილ ტაო-კლარჯეთო.

მანდაც მზე მთის მწვერვალებს უკვენ წელ-წელ ჩავიდოდ, სუდარაცმულს, მაგრ უტებს დამე ძაძად ჩაგეცმოდ, შენ გულ რა' გვერ გავაურნოთ, გვასწავლ, ტაო-კლარჯეთო!

რა' გვერ გაზძლეთ დამდენხან მაგ ალესილ კდეებში, კდეებსავით მაგრებო...

ნიკა...

ხანდთაში ტაძრამდ ასელას ნიკამ მიშველ შეილსავით. ჩამოსვლასაც ნიკამავ მიამბე ამბებ გვრინსავით. ტკმილ-მწარე ისტორიებ, საბადაგე ტკმილსავით, ასთა' გულიან შეილებ უმრავლ ჩემ სამშობლოს!..

ზებიდეი-დ ფატიმაა, მელექეთი-დ კიდევე, ათას დარდი-დ სამსალა' გულზე დანაკიდენ. ფირითა-დ ოცნებებით ქართულ ცაზე მეიდენ, გურჯისტნ ქარგ გვიმყოფევ, — ნატვრას განაიდენ, ღმერით, ას დღე მოგვიყვან, სუუ რო ერთად ვმკიდეთ...

გრიგოლ ხანდთალს

ხანდთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრში შენ ნასაყდრალ-ნალოცვარ ტაძრებ რიდით მოვილოც.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ଧାରାୟକ୍ଷେତ୍ରରୁ
ନିରାଜନ


21 აპრილი, 2020 წელი, სამშაბათი

გაზაფხულია, მაგრამ არაფერი ამის
მსგავსი არ იგრძნობა. ზამთარი უფრო მგ-
ონია. ზამთრისპირი. ნოემბრის მინურული.
მოჟამული, ცივი, უჯმურა ამინდები რო
იცის. საღამოა. ალვის ხეებზე სულ ქორფა
ფოთლები შრიალებენ და ჩამავალ მზეს
ირეკლავენ. კარგად თუ დააკვირდები, წა-
მის მეასედებში, გაელვებთ, თვალით დაჭ-
ერა უნდა — საიქიოს, იმქვეყნის სინათლე-
საც ირეკლავენ, გაჩვენებენ სულ წამით.
წამითაც კი არა. მაგრამ თუ მახვილი თვა-
ლი გაქვს, დაინახავ. მოკრავ თვალს. დაინ-
ახავ და შეგზარავს, გულს აგიჩქროლებს.
რატომ უნდა ირეკლავდეს ალვის ხის ფოთ-
ლები საიქიოს?.. აბა, საიდან უნდა ვიცო-
დე?..

ლია ფანჯარასთან ვდგავარ და გამოყრუებულ ეზოს გადავყურებ. არაფერი მოძრაობს, არაფერი ხმაურობს. საშიში სიჩრუმეა. კატები და ძალლებიც კი არ ჩანან, წარმოგიდენიათ?.. რაღაც ხდება.... თუმცა რაღა რაღაც ხდება?.. მეტი რაღა უნდა ხდებოდეს?..


აი, გამოჩნდნენ ვიღაცები. ჩემი მეზო-
ბლები არიან, 50-60 წლის ცოლ-ქმარი. მა-
ღაზიდან ბრუნდებიან — ცხვირპირდა-
მალულები, ორივე ხელში პარკებით სურ-
სათი მოაქვთ. ამ ცოლ-ქმარს ჭირის დღ-
ესავით სძულს ერთმანეთი. კაცი გამოუს-
წორებელი ლოთია, შფოთი და პათოლო-
გი; ცოლი — ნუპაკი და ავი, შარიანი ქა-
ლია. არავის უყვარს სამეზობლოში. ჰო, ეს
კაცი სვამის, აფრენს სიმთვრალეში, ლენაგს,
ანგრევს მთელ სახლს, სცემს ამ ქალს —
მთელ უბანს ეს კაცი უყვარს. ის ქალი არ-
ავის გულზე არ ეხატება. მეტსაც გეტყვით,
ვერ იტანენ...

ერთხელაც ასე, მორიგი დათორობა და
გაფრენა ჰქონდა მის ქმარს. ისმის წივილი,
კივილი. ეზოში ვიდეექი უბნელებთან ერ-
თად. უმონებალოდ მთვრალები ვიყავით
ყველანი. გათმვამდე რო ხარ მისული, აიმ
კონდიციაში ვართ, და უცებ ვხედავთ: ამ
ცოლ-ქმრის ბინის ფანჯრიდან კაკლის მუ-
რაბის ჭილები, ტყემლის ბოლოლები და ჯო-
ნჯოლის სამლოტრიანი ერთმანეთის მიყო-
ლებით მოფრინავს მეხუთე სართულიდან.
ბედი ამათი, რო თავში არავის მოხვდა. წა-
მოვიშალეთ ბიჭები, ცოტა ახლოს მივე-
დით, რო თუ ვინმე გამოჩნდებოდა, გაგვერ-
იდებინა საშიში ზონიდან. ვუყურებთ ამ
სურათს და ეტყობა, ყველას ერთად ვერ-
გადაგვინყვეტია, აგვივარდეს ხარხარი თუ
არა. ხმას არ ვიღებთ არავინ. ეტყობა ამ
ქალის გაკეთებული იყო, რაც გადმოუძა-
ხა შოთამ (იმ ჯიგარს ჰქვია), თორე ეგ ყვე-
ლაფერ, რაც ფანჯრიდან აფრინა, გადა-
სარევი მისაყოლებელია — ზოგი ღვინოზე
და ზოგიც არყაზე. ცოტა ხანი პაუზა იყო
მერე. პაუზა იმიტომ კი არა, რო ჩამუჩდნ-
ენ — ქალის წიოკობა და კაცის ღრიალი
ისევ ისმიოდა — აღარაფერი უსვრია და იმ-
იტომ. მერე, უცებ, ვხედავთ, ღია ფანჯრი-
დან რაღაც ორი ცალი შავი ჩამოფრინდა,
ნელა და ციმციმ — ქალის კოლორტები
იყო. მერე კიდევ ერთი ცალი შავი — ეგ
უკვე „ლიფი“ იყო. და მერე კიდევ ისევ ორი
ცალი, ოღონდ — დამპალი შინდისფერი.



22 აპრილი, 2020 წელი, ოთხშაბათი

საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი ისევ ძალაში რჩება. ისევ მცდარია ყველაფერი და საშიში. ჩემი მეზობელი ცოლ-ქმარი კვლავ ერთად მიდი-მოდიან შინიდან მაღაზიაში და უკან. შოთა აღარც სვამს და აღარც ჩეუბობს, რაც ძალიან მაფიქრებს. გაზაფხულსაც ისევ ვევრა მარჩნევ. რაღაც უცნაურობებზე მეფიქრე



ჩუმად რომ იყვნენ და ამ თავიანთი მდუ-
მარებით გაამნარეს და მოინელეს საკუ-
თარი დედ-მამა და ახლობლები, ახლა ამ-
ონებებს ხმას და იტყვიან თავიანთ ამბებს
— რა გადახდებოდათ და რატომ დაღუ-
პულიყვნენ. მოვლენ სიკვდილის ანგელოზ-
ისგან ჭეუადარიგებულები და სხვანაირე-
ბი, იქაურები, საშიშად ლამაზები და ფერ-
მკრთალები. მოვლენ და იტყვიან თავიანთ
ამბებს. რისი მოსმენაც ყველას ასე გვინ-
და და გვწყურია. მოჰყვებიან მორცხვად
და წავლენ უკან, თავიანთ გზაზე სადაც
ფოთოლცვენაა და იქაური ნიავი ალვის
გამხმარ ფოთლებს მიახოებს...

მანამდე კი ისევ ვდგავარ ჩემს ფანჯა-
რასთან და შეუმჩნეველ გაზაფხულს მაინც
ვერ ვამჩნევ. პირველად ჩემი შეგნებული
ცხოვრების განმავლობაში....

დედა მოვიდა,
ნინიკო

— დედაჩემბ მითხვა, საღამოს მოვ-
ალ და ნაგიყვანო. სად არის ამდენი ხანი?..
— ნინიკოს ცრემლები ღვარლვარით ჩა-
მოსდის.

— ნინიკო, შენ შემოგველუ, არ იტირო...
თორემ ჩვენც ვიტირებთ... — თამრო ნინი-
კოსთან ჩამოჯდება, გაშლილ თმას ჩა-
მოუსწორებს და ნაწნავს უკეთებს.

— თქვენ რატომ უნდა იტიროთ? დე-
დაჩემია და დამპირდა, მოვალ და წაგიყ-
ვანო. მომატყუუ?
.

— არ მოგატყუა, ნინიკო. ოდესმე დე-
დას მოუტყუებიხარ? — ქეთევანს ეღიმე-
ბა, თან ცრემლს ყლაპავს. იატაკზე დავარ-
დნილ სამაჯურს ზინიკოს ფრთხილად უკ-
ეთებს.

— არ მოვუტყუებივარ, მაგრამ სად
არის?! რამდენი ხანი უნდა ველოდო?.. სად
ხარ თუ?

— ნინიკო, გენაცვალე, ცოტა ხანი აღ-
არ იტირობ და მე გეტყვი, რატომ იგვიანებს
დედა... — თამარო ახლა მეორე მხარეს ჩა-
მოქმობის თმას ნინი კოს.

- აღარ ვიტირებ. მითხარი.
- არ გიფიქრო, რომ დედა შეიძლება
ძალიან ძალიან შორიდან მოღილეს, გზა-
შიათასირამ ხელს უშლიდეს, მაგრამ მაინც
ცდილობდეს შენთან მოსვლას. ხომ შეი-

ძლება ასე იყოს, ჩემო საყვარელო?..
— არ ვიცი... სად ხარ, დედი?..
— შენ რომ არ იცი, ჩვენ ვიცით... —
თამრო ნაწნავს ჩქარ-ჩქრა უკეთებს და
ქეთევანს თვალით ანიშნებს, ცრემლები

— დედა! დედა! დედა მოვიდა!!! —
ნინი კო უკრატ წამოხსჩიბა და თანჯრი-

କୁଳାଙ୍ଗାରେ ପାଦିଲୁହୁ, କାନ୍ଦାରୀ, କାନ୍ଦାରୀ, କାନ୍ଦାରୀ
ନାମମଥିତାରେ ଶୁକାନ — ଶାନ୍ତିଲଥି ଆଶ୍ଵରେଣ୍ଟି.
ନିନ୍ଦିଗୁ ତିରିଳି, ତିରିଗୁରୁଲାଙ୍କାରେ, କାଲ୍ପନିକାରେ ଉଦ୍‌ଧାରିତ
ନାନ୍ଦନଙ୍କାରେ ତାମରିଲେ ଶୈକ୍ରରୁଲ ନାନ୍ଦନାରେବୁ
ରଜ୍ଯନିର୍ଭାବୁ ମନ୍ଦଗଲିଙ୍ଗରେ ଏବଂ ତମାର ନାମନିଶ୍ଚିଲନୀରେ.

— დედა! დედიკო! რატომ არ გამიშვით? რატომ არ დამაბახებინეთ?!

— არა, ნინიკო! არა, გენაცვალე! ის არ კო თოვაძინო!

ნინიკო ტირის, ტირის, მოთქვამს. მერე
უეცრად გაჩუმდება. ჭერს მიასტერდება.
ქეთევანი იქვე დავარდნილ კბილების პრ-
ოთეზს ხელსახოცს შემოახვევს და ნინი-
კოს ბაობიშის ქაშ ამორიზებს.

— მოხვევიდ, დე... — აქა ვარ, დედი, აქეთ
გამოისხედე. რა ლამაზი ხარ... როგორ მო-
მენატრუ... მოვიდა ჩემი დედიკო... — ნინი-
კო ჩურჩულით ამოთქვამს ბოლო სიტყ-
ვებს, ერთს მოავლებს ყველას თვალებსა:
ქეთევნასა და თამროს — თავისი დაქალებს
მოხუცებულთა სახლში, დიასახლის გული-
კოს, დარაჯ შალვას, და მამა იაკოპს — მა-
თი უბის ეკლესის მოძღვარს. მერე ისევ
ჭერს ახედავს, უყურებს, უყურებს და... რჩ-
ება ეგრე, თვალგახელილი და ჭერს მიშტე-
რებული. მამა იაკოპი მიცვალებულს შუბ-
ლზე ხელს დაადგებს, და ნელა, ფრთხილად
ოუხედის და ასაძეს.

— გუშინნი 97 წლის გახდა. რა კარგად იყო, როგორ მოილებინა, იცემვა კი-დეც... — ქეთევანს ცრემლები ღაპალუპით წამოსია.

— დედა მოვიდა, ნინიკო... — ახლა უკვე
მიცვალებულს უნდაგს თმას თამრო და აღ-
არ ტირის. იღიმის...



* * *

ხმები ხმებს შეერწყა, გარეთ სიბნელეა,
დარბაზში ხალხი აყვავებულა.
მუსიკის შემდეგ ტაშების ლელვა,
დღეის კონცერტი დამთავრებულა.

ვინ იცის, ხვალ ვისი სოლო გაიქცევებს,
კონცერტმეისტერი გაკვირვებულია.
ფორტე აბოლოებს სევდიან სიმღერებს,
დღეის კონცერტი დამთავრებულია.

ან ვის რა მოგველის, ან ვის რა დაგვცდება,
ვინ ქუხს და ვინ კი დაგინებულია.
რაც უფრო წინ ვიწევთ, გზა უფრო მკაცრდება,
დღეის კონცერტი დამთავრებულია.

ვინ წინ და ვინ — უკან, პატრონის მძებნელი,
ვინ დამარცხებული, ვინ კი ქებულია.
დარბაზი გუგუნებს, დგას გარეთ მზებნელი,
დღეის კონცერტი დამთავრებულია.

ნატერას ნატერა მოსდევს, ოცნებას — ოცნება,
ვინ გაცინებული, ვინ ატირებულია.
ცა შეაზარეს დარბაზის ლოცვებმა,
დღეის კონცერტი დამთავრებულია.

* * *

მზე დამალობანას მეთამაშება,
როგორც სიზრად ნახეს მძინარე ბავშვებმა.
არ მინდა ამ თამაშის ხელიდან გაშვება,
ჭიხვინით ჩაიარეს ლრუბლების რაშებმა.
გადაიგრუხუნეს მეხთა მარშებმა,
ვით პრემიერაზე დაკრულმა ტაშებმა.
თენდება.
ბინდის ქვაბში ფიქრი იხარშება,
მზე დამალობანას მეთამაშება.

* * *

არ მელირსა დედობა,
ნილად მხვდა ძნელებდობა
და მკლავს უიმედობა
ძნელი.

გული ვერვის ენდობა,
დგას ამინდი — სევდობა,
გზა მექუა მთის ფერდობად
სველი.

თენდება თუ ლამდება,
დარდი არ მიამდება
და სიტყვები წამდება
ძველი.

აღარ მიჭირს თამაში,
მადა მოდის ჭამაში,
როგორც ლმერთი შამაში
მომკლეს.

ჩემი ბედნიერება
არის არდაბერება,
არის მშვენიერება
ხანმოკლე.

არ მელირსა დედობა,
არც ცოდვათა შენდობა
და შავ ქართა ყბედობა
მატოკებს.

საუკუნებს გაუძლო ბახმა,
თუმცა ბევრი ხე ჩემნამდე გახმა.

„შენ ხარ ვენახის“ კვლავ ჟღერს ჰანგები,
თუმცა დაესო ბევრ გულს ჭანგები.

ისევ სრულდება ცეკვა „ქართული“
ძველ საძირკველზე წამომართული.

და ფიროსმანი თვალს კვლავ ახარებს,
თუმცა სიკვდილი გვდევნის, ხარხარებს.

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე ჰქვია
ამ ჩემნს გაძლებას და აღმართს ქვიანს.

მაგრამ ძლიერ სულს ვერცრა ერევა,
ქმნის ძალაშია ბედნიერება.

წავა კაცი და რჩება ნაყოფი
შრომისა, თაობათა სამყოფი.

და სვეტიცხოვლის ამშენებელი
არის სამყაროს მამშვენებელი.

პოი, რამდენი გავიდა გაღმა,
ფრთხები დაკეცა რამდენმა ლაღმა.

ღმერთო, უკურთხე ისტატს მარჯვენა
მშვენიერების გადასარჩენად.

ასე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან — ასეო,
სანამ ვართ ქვეყანაზეო,
სულ სიახლით ამაესეო!

ვინ წინა და ვინ — უკანა,
ბედმა ვის აღარ უგანა,
საოცარი არის განა,
ვინ მოიმკა ვისი ყანა?

იცვლებიან დრო და ჟამი,
იცვლებიან ბელადები
და იცვლება ყველა სკამი,
დღეზი — ათასფერადები.

ყველაფერი მიდის — მოდის,
ყველას ბოლო სიკვდილია.
სახელები ახალ მოდის
ამყარებენ იდილიას.

ასე, ჩემო მანასეო,
სანამ მივალო შარაზეო,
ცვალებადობს ჩვენი სვეო,
ხან გვაცსე, ხან — დაგვაცსეო!

რად დაჭკუნი ჩემო ყვავილო,
რატომ ჩაქინდრე თავი?
ბედნიერებავ ჩავლილო,
რა უკულმართად ყვავი.

სურნელით გაბრუებული
ძლივს მივბარბაცებ გზაზე.
მიდამო ღყურუებულ,
აყვავებულ ბალს გაემზერ.

დრო იყო, ცას ხელს ვაწვდენდი,
ვარსკვლავებს ვწყვეტდი ცაში
და სასწაულებს ვახდენდი
ჩემი ზღაპრული რაშით.

არც რაში, აღარც — ზღაპარი!
გაწყდა ვარსკვლავის სხივი.
ზღვის ტალღა, როგორც ფაფარი,
იშლება ქარში, ყივის.

ერთი დრო ვის შერჩენია!
თუმცა ჯერ ისევ ვყვავი
და ჩემთვის გაუჩენია
ღმერთს ეს ვარდები შავი.

რომ გაანათო, უნდა დაინვა,
(და ინვის ცეცხლში თვით ოქრო-ვერცხლი),
ამინდა მიჰყვე და ისე ჩაიცვა,
გაზაფხულს მოსდევს ჭიკიჭიკი მერცხლის.

თუ გული გულობს, ორივე ხელით
იჭმება ქადა, ასე ამბობენ.
როცა დადგება ახალი წელი,
ნაძის ხეგი ბრწყინვას ლამობენ.

ისე თენდება, ისე ლამდება,
ვერ ვასწრებთ თვალის დახამხამებას.
და, შეგვენიოს წმინდა სამება,
დაცხრეს გრიგალთა ახარხარება!

არა მეფენი, მეფობენ დრონი,
ამყოლს აპყევ და დამყოლს დაჰყეო —
თქმულა, ჩამქრალი ცის სამკიდრონი
ფუჭია, როგორც კვერცხი ლაყეო.

რომ გაანათო, უნდა დაინვა,
ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე ცხოვრებას.
და მზს აკვანი როგორც დაირნა,
ისე ვეეძლევა სულის ცხონება.

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,
მარჯვეა მისი ბრუნება.
ილევა შეების მარაგი —
მზე გვაძლევს ღვთიურ წიშანსა.

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,
მარჯვეა მისი ბრუნება.
აღმა ვერ ივლოს არაგვი,
თავის წესი აქვს ბუნებას.

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,
მაგრამ ისიც ხომ ძველდება!

* * *

არვის შერჩება ერთი დრო,
დაღმართი ყველას გველის.
ღმერთმა ცოდვები შეგვინდონ,
თვალზე შეგვაშროს ცრემლი!

სიცოცხლეს ისე ვერ გალევ,
ცოდვა არ ჩაიდინო.
და საღდეგრძელოს ვერ დალევ,
როცა არა გაქვს ღვინო.

გზა მწვერვალისეკნ გრძელია,
გზა მწვერვალიდან — მოკლე.
აღმართზე ასვლა ძნელია,
დაღმართი ნიშავს — მოკვდე.

მარტომობაში გაზრდილი
მარტომობაში კვდება
და რჩება მხოლოდ აჩრდილი,
როს გზები შეიკვრება.

არვის შერჩება ერთი დრო,
ვინ იცის, ვის რა გველის.
და რაც არ უნდა ვერიდოთ,
მაინც შეგვაცდენს გველი.

სიცოცხლე მშვენიერია,
სიკვდილის არცრა ვიცით
და ერია თუ ბერია,
ყველას დაღმართი გვიცდის.

* * *

როდესაც ვეღარ გავუძლებ ტეივილს,
შევიმალები საკუთარ თავში,
რომ იქ ვიპოვო ნათელი სხივი,
რომელსაც ვგრძნობდი ჯერ კიდევ ბაგშვი.

ჩენ ერთმანეთი დღეს აღარ გვიყვარს,
თუმცა კი გვახსნოვს, გვიყვარდა როგორ.
დროს ყველაფერი თავის გზით მიყვეს,
რომ ერთმანეთის წინ დაგვაჩინოს.

ისმის ლეგატო და გადაბმული
ჰანგი ჰანგის მისდევს მოგონებისა.
ისმის ფორტე და მისკდება გული,
რადგანაც შენი ნახვა მელირსა.

რას არ მივცემდი მე ამ ერთ წუთში,
როს კვლავ შეერთდნენ ჩენ გულები.
ჩენს ხმებს ვერ ახშობს გრიალი ქუჩის,
ვართ ერთმანეთით გათანგულები.

ვითომ შემთხვევით შევხვდით ჩენ ახლა?
შემთხვევით განა რაიმე ხდება?
მომეცი ხელი — ავტონიდეთ მაღლა
და აღვასრულოთ იქ უფლის ნება.

იღება სიბრძნის მარაგი
და განახლება ძნელდება.

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,
თაობას მისდევს თაობა
ამსახური ყველა ქარუმის
გადაქცეულის ჭაობად.

თურმე ცხოვრება მოთმინებაა.
მოთმინებითა შენითაო.
და მეც ვითმენ, მაგრამ ვიცი,
ერთხელაც განყდება
მოთმინების მაგარი ძაფი
და აღარ ვიცი, მაშინ რა მელის.
ვითმენ სიყვარულს,
ვუთმენ მეგობრებს, ვუთმენ მტრებსაც,
ვითმენ ამინდებს, ვითმენ მარცხებს —
რაც ხდება ქვეყნად,
ყველაფერს ხომ მოთმენა უნდა!
როგორც ია ითმენს მინაში გაზაფხულამდე,
როგორც ვაზი ითმენს რთველამდე,
როგორც ბარტყი
ითმენს კვერცხში გამოტეხვამდე,
მეც ასევე ვითმენ და ვითმენ.
მოთმინებასაც აქვს საზღვარი,
როგორც ყველაფერს
და ერთხელაც იჭექებს მეხი —
გასკდება გული
მოთმინებით გადარეული
და ეს ოხერი ცხოვრება ისე აფეთქდება,
როგორც ბრძოლის ველზე დიდი ხნის წინ
ჩარჩენილი ნადმი,
რომელსაც მოულოდნელად დავადგი ფეხი.

მე ისევ მიყვარს. ცხოვრება მიდის,
მაგრამ სიყვარულს ვერაფერს აკლებს.
გადებულია გაღმისკენ ხიდი,
მზეზე ლაპლაპებს მდინარის სარკე.

მე ისევ მიყვარს და სიყვარულით
ვუყურებ დილას და მთის მწვერვალებს.
განძი მთის მიღმა გადამალული
ამომავალი მზის ქვეშ ელვარებს.

მე ისევ მიყვარს, ვარ ბედნიერი
და ვიბადები ისევ თავიდან —
თურმე არ მეცვლება სახე, იერი,
თითქოსდა წამიც კი არ გავიდა.

მე ისევ მიყვარს, მინდა ვახარო
ქვეწიერებას ჩემი აღდგომა.
და მშვინიერმა ამა სამყარომ
სიცოცხლე ახლა კვლავ მომანდომა.

მოილრუბლა, ნალდად წვიმას აპირებს,
აჟლრიალებს ქარი ელვის რაპირებს.

როგორცა ქუხს, ისე არ წვიმს, არაო,
ცაცხვის ჩრდილი გდია, როგორც მარაო.

გამვლელები მივლენ, მიიჩქარიან
და მდევარი მათი ავდრის ქარია.

ახლოვდება სალამო და ბინდდება,
ბოლო სხივით მზე ცას გაერიდება.

როგორც სცენა სპექტაკლის წინ ბნელია,
ცნობილ არტისტს — წვიმას აქ მოელია.

წვიმას ჩრება ასპარეზი. სველდება
და ნელ-ნელა ქუჩა ცარიელდება.

წვეთ-წვეთობით ბრუნდებიან სულები,
იმ ქვეყანას დღემდე გადასულები.

ო, ეს წვიმა მარტო წყალი არ არის,
ცის წყალობა არის ჩვენზე ალალი.

ცხელ იცლისში უწვიმაროდ ძნელია,
წვიმა ნასედა ძლიერისილ ელიას.

ავდრის შემდეგ მდინარე აიმღვრა,
აირივნენ თევზები —
ამღვრეულ წყალში იწყება თევზის ჭერა.
მეთევზე მოდის
და მის გადაგდებულ სატყუარებზე
მხოლოდ ახალგაზრდა,
გამოუცდელი თევზები წამოეგებიან.
მეთევზე მოდის!
ვაი თქვენდა, ნორჩო თევზებო!



ისე ვარ, როგორც წლებად ჩავლილი
ომი აწვება მხრეზე ვეტერანს,
ათ მცნებას ვარდვევ დედის შალივით —
რომელიც უკვე აღარც მეტევა.

სხვები არღვევენ, ჩვენ მაინც ვიცავთ
კანონს და ვცხოვრობთ მითქმა-მოთქმებით,
წვიმის წევებად ვეცემით მინას —
და მერე ისევ ცაში ვორთქლდებით.

ნყაროსავით მწყუროდი და
თანაც მსურდი ცხელ ყავად
და გულიდან ყურებამდე
შეყვარებას ავყევი

შენსას! სკამზე — გარეთ როა —
გკოცნე, ღირდი აკლებად,
შენს თითებში გავატარე
ღამე: ყუნწი აქლემი!

დღეს კი უკვე აღარცერთი
ვდარდობთ, ან გულს ვერევით
ყავასავით გამიცივდი —
დამრჩი დაულეველი.

მცენარე გოგო

ღმერთათან მიღვავარ ყველა გზას დღესაც,
ვერ დამაშორეს ამ ცას წვიმებმაც,
ყოველ დღე თითო ღცნებას ვმწყემსაც,
ღამით ცხვრებს ვითვლი დასაძინებლად.
და, როცა მგელი მოდგება სამტროდ,
აფეთქებ ღორცებს — ერთგულ წაგაზებს,
და უკეთ ვხედავ, მით უფრო, რაც დღო
გადის, ვინ უფრო მეტად მაფასებს.
მწყემსა გოგონას დავიწყებ ღილინს,
ფავტებში მთებით და ზედ მზის ფონით,
და ეს ცხვრის ფარაც არაფრად მიღირს,
ჩემს დაკარგულ ცხვარს თუ ვერ გიპოვი.

ისევ მეძახის აქეთ მთები და
თან კლდით მიკეტავს კარსვე სრულებით,
შენ ჩემს თვალებში გათენდები და
შე შენს ხელებში განვესხეულდები...

მარტორბა

ქარის მოტანილს ქარს თუ გაგატან,
შენი აცვია ამ ქარს წინდებიც,
ძეირფასო, მარტო ისე კარგად ვარ —
მარტორბაზე დავქორნინდები...
შენთან ვიწყენ და მარტო უკეთ ვარ,
თან ისე კარგად, როგორც არასდროს...
მგონია, გულის კარებს ვუკეტავ —
მარტორბას რომ შენთან ვღალატობ...
მსურს, მარტორბით გავავსო სახლიც,
შენც დაგივიწყო — დღემდე თუ ვფიქრობ,
და ვგრძნობ, რომ როცა ირევა ხალხი —
მარტორბაზე ვქვრივდები თითქოს...

ცას შეეზარდე თითქოს ფესვებით
და მიწის ნაცვლად მზესთან წავარდობ,
მიზანს ადვილად აღარ ეხსნები
და ღმერთათან ანყობ უკვე მარათონს...
მაგრამ არსებობს ათასი მაგრამ —
დაბრკოლებები გადევს ბორკილად,
„ხალხი რას იტყვის“ — კედლებად გაკრავს
და გრძნობ, რომ რამე ცუდი მოგვია...
და გრძნობ, რომ მაინც არა სარ უკეთ
(ჩვენი თავიდან გავალთ ვერასდროს),
ფლეხს გიხატავს ვილაცა მუქად
და ეს შენ უნდა გააფერადონ
თუ არ ირბინე კიდევ კარგა ხანს,
ვიღაც ყოველთვის დაგინერს სარჩელს,

ადამიანო, ხე ხომ არა ხარ, —
სადაც არ გინდა, მაინც იქ დარჩე!

თითქოს ფილტვებში გადის ოზონი, —
ცაც მოსაწევად მსურდა, მესიჯა
და შენ კი, როგორც გრანდიოზული,
მოდიხარ ისევ მარტო მესიჯად
და ექი ჩემში დღემდე მოკეთეს,
თურც მტრისათვისაც აქ ვარ ვიომო,
თითქოს სულყველა კარი მოკეტეს
და ზეცის ღურჯი აკვარიუმი
თავზე დამემსხვრა! — ჰო, არ ვამლაშებ,
შენზე ცნებებს ვატარებ მუცლით,
ჩემს გვერდი ვხედავ მარტო მამაჩემს
და არ გაჩნიოს სახელებს ვუცვლია,
როგორც იმდეს და როგორც იდეას,
სანაც ვიღაცა ფრთებსაც მოაჭრის,
თუ გინდა, სულმთლად განმერიდე, ან
მოყევ სახლამდე გულის მოავირს...
გადარბლართულვარ შენში ტისმებით
და გახატვა ჩემში ლამაზ ესკაზად,
ჩვენ ღვინისავით სხვისთვის ვისმებით
და თუ დაგვცალეს, ბოლოს ეს გვიზამს,
რაც ქა დრომ თითქოს ყველა მოკედავთან
(დრო ყველას კლავს და ყველას ერევა),
ვიღებ ცხოვრების ბოლო ოქტავას
და ცას გიტოვებ, როგორც რევერანსს!

რადგან დუმილი მეტს იტევს სიტყვას —
ლექსში გიზოგავ, რომ არ მომძეზრდე,
შენი თითების ფუნჯები მიყვარს
ჩემი სხეულის სუფთა მოლბერტზე...
ოცნებებს ვუწყობ შენეულ ანმლაგს
(ნეტავი, ახლა შენც თუ მიგონებ?!),
გზა კია, მაგრამ შენამდე არ ჩანს,
და ვდევ როთმას და შენზე სტრიქონებს...
დღეს ღმერთასაც შენი ხათრით ვიჯერებ,
შენი სურვილი დამდევს ვირუსად
და გადანერილ ყველა პირჯვარით
გულზე დაკიდულ შენს ჯვარს ვილურსმაც!

შენ ისე ძლიერ გეშინია ჩემი დაკარგვის,
რომ უფლებასაც არ მიტოვებ, შენგან წავიდე,
ცას თვალი მისდის უფერული
ცრემლით ნაქარგი —
კოლგოტიანი აშხვართული ქალის წვივიდან....

ცას თვალი მისდის, მე კი გულიც კი შენთან მრჩება,
და ფეხსაც ვითრევ — სადმე სხვისკენ რომ არ
გამეცეცს,
სიცარიელით ამოვიცსე თვალების ჭები —
და სიყვარულად დავაფარე დამით სარეცელს.

შენ ისე ძლიერ გეშინია ჩემი არყოფნის,
რომ მე მზადა ვარ, შენთან დავრჩე, გავხდე სამინც...
ზის კაცი ძალლთან ისეთ ასტრალში —
ღმერთი იძოვა თითქოს...

ზოგს მართლაც ქეყუნის დარდი უტევს და
ზოგს კი — რაღაცის ლომეა,
ზის მთვრალი კაცი ქუჩის კუთხესთან
და ქუჩის ძალლი ლოკავს.

უკე არც იცი, რა არის სწორი
ამ დახვეული დროის თავბრუდან,
მოდიხარ გზიდან ძალიან შორი, —
ერთი სული გაქვს სახლში დაბრუნდე...

შეაღებ კარს და... დარდი წევს ბნელი,
ჩამოქცევის ჭერიც დამის ცებს
და რადგ

მწარეობი

გელა ჩქვანავა

გელა ჩქვანეა ის მწერალია, თავის თავში რომ ატარებს ტექსტებს, ამბებს, სიუ-
ჟეტებს, მოვონებებს, წარმოსახვებს; ის მაშინაც თხზავს, როცა არ ზის და არ წერს,
მაშინაც მწერალია, როცა სულ სხვა სამუშაოზე დგას. მისი ტექსტები და პიოვრაფ-
ია ერთი სუნთქვა, ერთი ენერგიაა თოთქოს და ამიტომაც სულ ახალი, სულ ცინცხალი
და მიმზიდველია მკითხველისთვის. რაღაც რომ დაგატყდება თავს, საშინელებას გა-
მოივლი, მერე ალბათ ერთხელაც რომ არ ახსენ, მაინც გაჯერებული ხარ მისით,
დადინხარ და დაატარებ და ერთხელაც დადგება მოყვლის დრო.

თავად კი ამბობს, ჯერ მხოლოდ კალამი მოვსინდჲ ერთ, მაგრამ ასეც რომ იყოს, ჯერ რომ არ დაეწეროს მთავარი, ნინ რომ პქონდეს კულმინაცია, მაინც ყოველ ჯერზე გვონია, მის ერთ-ერთ საუკეთესო ტექსტს კითხულობ.

ეს იხტერვიუც ასეთია — ტექსტებზე არახაკლებ ძოქმედი.

— რამდენიმე ხნის წინ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი რამ მოხდა თქვენს ცხოვრებაში, მნერალთა სახლის რეზიდენციაში იცხოვრეთ და რომანს წერდით. შეგიძლიათ, მომიყვეთ იქაურ დღებზე? როგორც მახსოვს, მნერალებისთვის განკუთვნილ იქაურ ოთახებს სხვადასხვა კლასიკოსის სახელი ჰქვია, თქვენ ვისთან „შესახლდით“? რა ემოციის ფონზე გინევდათ მუშაობა, ცხოვრება?

— რას წერდით, რაზეა რომანი, შეგი-
ძლია მიუკონია? მარტინ?

— რომანს პირობითად „გულივერის სიკედილი“ ჰქვია. აქვე მოკლედ ჩამოვანი-კნიკებ შინაარსს: ლილიპუტების ქვეყანა-ში მოულოდნელად — ღამით, ძილში — კვდება გულივერი, რომელიც ყველაზე მა-ლალი, კლდოვანი მთის წვერზე მეფისთვის უზარმაზარ საზაფხულო რეზიდენციას აშენებდა. გოლიათის სიკედილი თავზარ-დამცემია ლილიპუტებისთვის — ისინი ხომ არსებობის განმავლობაში ყველაზე „სასი-ამოვნი დაუპატიჟებელ“ სტუმარზე დიდ იძენებს ამყარებდნენ, გრანდიოზული გე-გმები ჰქონდათ, თუნდაც მეზობელი აპე-ზარი სახელმწიფოების აგრესისგან თავის დაცვა. როგორც წარმოედგინათ, გულივ-ერი ლერთმა მათი გამორჩეულობის ნიშ-

გელა ჩქანავა


ში რომ ატარებს ტექსტებს, ამბებს, სიუ-
შინაც თხზავს, როცა არ ზის და არ წერს,
აოზე დგას. მისი ტექსტები და პიოგრაფ-
აა ამიტომაც სულ ახალი, სულ ცინცხალი
რომ დაგატყდება თავს, საშინელებას გა-
ახსენო, მაინც გაჯერებული ხარ მისით,
ვება მოყოლის დრო.

მოვსინჯეო, მაგრამ ასეც რომ იყოს, ჯერ
ნდეს კულმინაცია, მაინც ყოველ ჯერზე
კითხულობა.

ანაკლებ მოქმედი.

ნად, დიადი მომავლისა და გაბრწყინების
უდავო დასტურად მოყვლინა. მას მიიჩნე-
ვდნენ ლვთის დიდ წყალობად და შუამავ-
ლად არსთა გამრიგება და მათ შორის. პი-
რველი ელდა რომ გადაიღლის, ლილპუ-
ტები მწარერეალობის წინაშე დგებიან: გო-

ია, გულივერი უყვარდა კიდეც. თავის მხ-
რივ, ექიმს, იმ გულცივ და ზედმეტად მი-
ნიერ კაცს, შვილის ტოლა მეფის ასული ისე
ნაზად უყვარს, ჯერ რომ არავინ ჰყებარებ-
ია. მიუხედავად ამისა, რაღაც წამლებით
დააძინებს მას, თუმცა ექსპერიმენტს მა-
ინც ვერ ჩაატარებს, რადგან გულივერის
გვამი ახალი ეპიდემის წყაროდ იქცევა —
სამეფოში შავი ჭირი მდვინვარებს. ავადდე-
ბიან ორივე ბანაკის მეომრები, მოსახლე-
ობაც. სიკვდილი უიარაღოდ ცელავს ყვე-
ლას. ბოლოს მიხვდებიან, რომ უნდა გაერ-
თიანდნენ და როგორმე ეპიდემიის მთავარ
კერას — მევდარ გოლიათს მიხედონ. ისი-
ნი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ერთმანეთს
ეომებოდა, საერთო მალებით ეზიდება მი-
ნას მთაზე, შლის თითქმის დასრულებულ
მეფის სასახლეს და ქვებს მიცვალებულს
მინასთან ერთად აყრის. ხანგრძლივი წვა-
ლების შემდეგ მზანი მიღწეულია — გუ-



ლიათი მიცვალებული უნდა დაიკრძალოს, მისთვის სამუდამო განსასვენებლის გაჭრა კი უდიდეს სირთულესთანაა დაკავშირებული — გულივერი ხომ კლოვანა მთაზე აღესრულა. იქ საფლავის გათხრა ტიტანურ შრომას მოითხოვს — ქანები უნდა დაამტკრიონ მოკლე დროში, ეს კი ლილი-პუტების ძალას აღემატება. აშკარაა, გულივერის ცხედარი მოიდან ბარში უნდა ჩამოასვენოს. მეფის ოჯახის პირადი ექიმი ინიციატივით გამოიდის, გოლიათი დაანანა-ევრონ, მეფე და ხალხის უტესებობა ამის სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ ცხედარი ხრნნას ინყებს და სუნი ლამის მთვლ სამეფოს მოედოს. გულივერის სიკვდილი მეზობელი, მტრულად განხწყობილი ქვეყნების ხელმწიფებს დიდად არ სწყენიათ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორედ მისი დახმარებით წამონებდნენ ლილიპუტები იმს. ეგ კია, ყველას სურს მკვდარი გულივერის ხილვა. ხელმწიფები ლილი-პუტეთა მეფეს ცხედრის საანახავად მათ ტერიტორიაზე შესვლის უფლებას სთხოვენ. მეფე მტკიცე უარზეა, რადგან ჰკონია, რომ მტრებს მზაკვრობა აქვთ ჩაფიქრებული. ბოლოს უთანხმოება საყოველთაო იმში გადაიზრდება — ყველანი ლილიპუტების წინააღმდეგა, ამასობაში ისიც აირჩევა.

გა მოვალეობა უდიდესიც კუთხის. თუ კი უკავშირობის ტროვებული გოლობითია კი თანადათან იხს-ნება და ლეშიჭამის ნადირ-ფრინველი გვამს ესვეთ. ცხედარის მეფის ასული იცავს, იქვე სამეფო ოჯახის პირადი ექიმიც; ამ უკანასკნელს თავისი განზრახვა ამოძრა-ვებს, თავიდანვე ერთი სული ჰქონდა გვამი გაყვეტა. მეფეს მოახსენა კიდეც — დარწ-მუნებული ვარ, ბევრ ანატომიურ სიძულ-ლოს ახედება ფარდა, გამადიდებელი შუ-შის გარეშე შევძლებ დეტალურად შევის-ნავლო შინაგანი ორგანოები და ქსოვილე-ბი, მივაგნო შათი ფუნქციონირების ჩვენ-თვის უზიღავ გენერაციულ წყაროს, ანუ მამოძრავებელ ძალას, გული მიგრძნობს,

ია, გულივერი უყვარდა კიდეც. თავის მრივ, ექიმს, იმ გულცივ და ზედმეტად მნიშვნელოვან კაცს, შეილის ტოლლა მეფის ასული ის ნაზად უყვარს, ჯერ რომ არავინ ჰყავარება. მიუხედავად ამისა, რაღაც წამლები დააძინებს მას, თუმცა ექსპერიმენტს მინც ვერ ჩაატარებს, რადგან გულივერი ვაგონი ახალი ეპიდემიის წყაროდ იქცევა — სამეფოში შეავი ჭირი მძვინვარებს. აგადდებიან ორივე ბანაკის მეომრები, მოსახლეობაც. სიკვდილი უიარაღოდ ცელავს ყვალას. ბოლოს მიხედვისან, რომ უნდა გაერთიანდნენ და როგორმე ეპიდემიის მთავარი კერას — მკვდარ გოლიათს მიხედონ. ისნი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ერთმანეთ ეომებოდა, საერთო ძალებით ეზიდება მნას მთაზე, შლის თითქმის დასრულებულ მეფის სასახლეს და ქვებს მიცვალებულ მიწასთან ერთად აყრის. ხანგრძლივი წვლების შემდეგ მიზანი მიღწეულია — გულის მიზანი და გულის მიზანი.

„ მსოლოდ მოვსინჯი კალახი

ლივერის ცხედარი მინისა და ქვის სქელს
საფარის ქვეშ მოექცა, მთა კი ისე ამაღლ
და, ყველა სამეფოდან მოჩანს როგორ
სიბძოლო, შესხენება, რომ ადამიანები ერ
თმანეთს უნდა გაუზროთხილდნენ.
— უმეტეს შემთხვევაში, თქვენ წი
დანინ ნარმოსახვაში შექმნით ხოლმე პ
რსონაჟებს და დაწყებული თვალის ფერ
ით, დამთავრებული სიარულის მანერით
მგონი, ყველაფერი იცით მათზე.

— ვფიქრობ, რომ „გულივერის სიკვდილის“ გმირები დასამახსოვრებლები იქნები.

ბიან მკითხველისთვის, სოხუმში წარმოსავაში შექმნილმა ჰერსონაჟებმა, ფურცლზე მხოლოდ მცირეოდენი კორექცია გნიცადეს. თავად რომანი უფრო შევი იუმირის შანრს განეკუთვნება. თითქმის იმას სახის იქნება, რა სახითაც სოხუმში მქონდჩაფიქრებული. სიუჟეტი კი ერთმა ანელი დოგმა „შთამაგონა“, ზოოპარკში რომ სპლო მოკვდება და მომცლელი გულამოსკანილი ზღუძუნებს; გასაგბია, რომ შეეჩვენეთ საბრალო ცხოველს, მაგრამ ყველამ მოკვდავები ვართ და ასეთი ზღვარსგადასული გლოვაც არ ვარგაო, ეუბნებიან; რეკიდევ პასუხობს — თქვენთვის ადვილა ამის თქმა, მაგრამ მკვდარი ცხოველი ხმიმი თასამარხია.

— ერთ-ერთინ ინტერვიუში თქვით, საბა
ამ მუშაობას შევუძღვები, ტექსტი გონი
ბაში უკვე დაწერილია, თუმცა დაუგეგმ
ვი წერა, მოულოდნელად გაჩენილი სიუ
ჟეტი თუ გმირები ბევრად საინტერესო
აო.

— იმის გათვალისწინებითაც, რომ ა
შემთხვევაში სიუჟეტური განვითარება
წინასწარ განერილი მქონდა, მუშაობის
პროცესი მაინც საინტერესოა — ემატება
მოულოდნელი რაღაცები, ჩნდება ახალ
პერსონაჟები და გარემოებები. რომანი
თვისი საბოლოო სათაური ჯერ არ შემირჩე-
ვია. ალბათ თავისით მოვა, როცა წერს და
ვასრულებ. თუ არადა დამეხმარება ვინი
— მყავს სანდო ხალხი, პირველი შემფასე-
ბლები, და ვიცი, რომ არ დამზარდებან
— რომელი გამომცემლობის სახელ-
ით დაიძექდება რომანი, უკვე გადაწყვი-
ტეთ?

რამე კარგი ხდება, ყველაფერი დაუგეგმა-
ვად და სპონტანურად, სურპრიზად მევ-
ლინება ხოლმე. არა მგონია, მწერალი და-
ლხენილი ცხოვრებისთვის იყოს გაჩენილი. იმ
იმ აზრის ვარ, რომ ფუფუნებაში წარმო-
სახვის უნარი ბლაგვდება. არასოდეს დამი-
ნუნუნია და არც დავიწუნუნებ. მთავარია,
ჩაფიქრებული პროექტები განვახორციე-
ლო, ამას ორი-სამი წელი მოუყნდები დაახ-
ლოებით. მერე კიდევ „ახალი ტალღა“ წა-
მოვა — ლიტერატურულ სარჩევლზე თვი-
თრეალიზაციის ახალი სტილი და მეთოდე-
ბი. მიყვარს მოულოდნელობები და წინაა-
ლმდევობები — ეს არასოდეს მაღუნებს, წერის მითხოვნილებას მითკეცებს. საინ-
ტერესო წარსული მქონდა, მოვლენებით
და, შესაბამისად, ემოციურადაც დატვი-
რთვული.


— ის დრო ხომ შემოქმედებითადაც
აქტიური იყო და რამდენიმე ნაწარმოვ-

ბზე ერთდღოულად მუშაობდით. ახლა?

ბაობდი, რამდენიმეს ერთად ვტერდი და მანც არ გამომდიოდა ერთნაირი, შაბლონური. ასე რომ, ამის ნამდვილად არ მეშინა ა ახლაც, როცა ორ-სამ რომანზე ერთ-დროულად ვმშეაობ. „გულივერის სიკვდილის“ დამთავრებამდე ერთი, წინათ დაწყებული რომანიც დავასრულე — ბოლო მეოთხედი ნანილი თავისით შემომწერა. მეტიც, მეორე, მცირე ზომის ნაწარმოებიც წამოვიწყე. როგორც კი დრო გამომიჩნდება, რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ვიბრძვი.

— თქვენი სიტყვებია, რომანი ომში
შესვლას ჰგავსო.

— რაც შეეხება ომს — მთავარი სა-
თქმელი ჯერ არ მითქვამს, ჯერ მხოლოდ
მოვსინჯე კალამი და ეგ არის. როგორც
წესი, ინტერვიუუზე უარს ვამბობ ხოლმე
— დროს და ენერგიას მართმევს. ახლა კი,
როგორც ხედავთ, ენად გავიკრიფე, რაც
იმის დასტურია, რომ ეგეც საჭირო ყოფი-
ლა. ის, ვისაც სიცოცხლე უყვარს, ცხოვრე-
ბას ყოველდღე თავიდან სწავლობს, თავი-
დან იწყებს. წერაც ასეა — მნერლობა დაო-
სტატების უსასრულო პროცესია, ახალი
სიმაღლეების დაძლვა, ბრძოლით აღებაა.
თითქოს შენი გონებსა და შესამეცნიერებელი
პორიზონტის საუკეთესო ნაწილი მტერს
ჰქონდეს დაპყრობილი და შენც მის გასათ-
ავისუფლებლად იბრძოდე, სიკვდილის და
მოდუნების უფლება არ გაქვს. რაც უფრო



ძლიერია მტერი, შენც უფრო მობილიზებული ხარ, უკეთ იარაღდები და მეტი თავგანწირვით იბრძვი. დროის და ძალების რაციონალურად გამოყენებას სწავლობ. ხვდები, რომ ბრძოლაში სიმრავლითა და გარეგნული ეფექტებით კი არ იმარჯვებენ, არამედ გულიდან წამოსული უნით, სტრატეგიითა და ტაქტიკით.

— ომზე თქვით, ჯერ მხოლოდ კალამი მოვსინჯეო, კიდევ რა არის, რაზეც აუცილებლად მოყვებით?

— არც ჩემს ძძიობლიურ ქუჩაზე, ძიარიაზე დაძიხერია ჯერ. ამასაც ახლა ვინყებ. უნიკალური ქუჩა გახლდათ — საჯოვანობელო კორპუსები და კირძო სახლები ერთმანე-

ოსული თაღით გვისულიც გამოგეოთის, სათაადო რვეულში მათი სახელის და გვარის გამოყვანისას ლამაზი ხელნერითაც გამოგეჩინა თავი და ღვინოც ისე შეგეთავა-ზებინა, რომ უარი არ ეთქვათ. მოკლედ, ამ ყველაფერზე ახლა ვიწყებ წერას. პო, კიდევ, ჩვენი ქუჩის ძაღლებიც — მანანა ლებებიც, უმთავრესად, კორპუსების ეზოებს შეფარებულებიცა და კერძოსახლელებისაც, პატრონიანები — ისეთივე განსხვავებული და კოლორიტულები იყვნენ, როგორიც ადამიანები. თითქმის ყოველი მათგანი შახს-ოვს და ყველა ელოდება ჩემგან „გაცოცხლებას“. მანანა ლებებსა და კერძოსახლელებსაც საინტერესო ურთიერ-თობები ჰქონდათ ერთმანეთში — ჩეუბობდნენ, რიგდე-ბოდნენ, კოალიციებს ქმნიდნენ, ადამიანებისა არ იყოს. კერძოსახლელი ძაღლებიც აბირჟავებდნენ კორპუსის ეზოებში ზოგჯერ და ესეც ძალიან საინტერესო სანახავი იყო. ერთი დიდი შავი ძაღლი გვყავდა, მანანა ლათა რიგე-ბიდან ავიყვანეთ, ძალიან ჭკვიანი და დინჯი იყო. დროდადრო თავისიუფლების ჭია რომ შეუჩნდებოდა, გაგვეპარებოდა სახლიდან და ყოფილ თანამოძმებში გაერეოდა. მათთან ყოფნით გულს რომ იჯერებდა, ისევ სახლისკენ გამოსწევდა. მანანა ლებებიც აედევნებოდნენ — მთელი ამაღლა. რექსაც კარგად იფერებდა, ამაყად თავანეული მოძუნდულებდა ხოლმე, ნახვად ღირდა. იმ ჩიხის თავში, სადაც ჩემი სახლი იდგა, მიუტრიალდებოდა ეს ჩვენი ყოფილი მანანა ლა ძაღლებს და შეულრენდა — ჩემს პატრონებს არ მოეწონებათ ჭიშკართან თქვენი თავყრილობაო და ისინიც უჯერებდნენ, ერთიანად გა-ტრიალდებოდნენ და ნავილოდნენ. მაშინ ბეკასა და სტრელკაზეც ვწერდი, კოსმონავტ ძაღლებზე. იმ რომა-ნის სიუჟეტის მიხედვით, კოსმოსის მოვლის შემდეგ ჩემს მშობლიურ ძიარიაზე აღმოჩნდებოდნენ, მანანა ლების სტატუსით. შემიძლია ვთქვა, რომ საინტერესო რაღაცე-ბი ხდებოდა ტექსტში, მაგრამ ხელნაწერი სახლთან ერ-თად დამინვეს სოხუმის დაცემის შემდეგ. იმასაც აღვად-გე, ისევე, როგორც აღვადგინე „მკვდარი ქვიშის უდაბ-ნო“. სხვა რაღაცებიც მქონდა და ახლა ყველას განახ-ლების იმტაზე ვარ, რაც კი ღირებულად მმაჩინა. მაშინ ზღაპრებშიც ვცდიდი თავს. აქაც დავწერე ათამდე, ოღონდ ის ძევლები არა. მახსოვს ისინიც და მივხედავ.

— ასეთი რამ გინერიათ ერთგან, ნამდვილი ცხოვრება 50-ის მეტე იწყება და მწერლობაშიც ასეათ. „ეგ მე-ირე სუნთქვა პირველზე ძლიერია, ფილტვებს ბოლომდე ავსებს ცინცხალი ჰაერით და სხვა თუ არაფერი, ის-მანც იცი, რაზე არ ღირს დროის ფლანგვა“. ვფიქრობ, ის სიტყვები კარგი შესავალია თქვენს შემოქმედებაზე ივალის გადასავლებად.

— ორძოცდათან შერე ხანდფილი, სისხლსავსე ცხივრების დაწყება, მეორე სუნთქვის გახსნა, იქნებ ინდიდუალური მოვლენაცაა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ემს შემთხვევაში ასეა. ერთ დროს ჩემი პირველი კრებულის, „კოლორიტების“ მოთხოვბების ხელთავიდან დაწერა მინდოდა, მაგრამ მერე მივცვდი, რომ არ ღირდა, უმცობესი იყო რამე ახალი შემექმნა, დრო ტყუილუბრალიდ არ გამეფლანგა. ბევრი მათგანი ხეირიანად არც მახაოვს, თვალს რომ გადავავლებ, მერე მახსენდება, რამ მიიძგა მათ დასახერად. ერთხელ, მაგალითად, ძალიან მოინდა სადმე ზღვისპირა ქალაქში დასვენება — ისე ალიან, რომ რაკი ამის საშუალება არ მქონდა, „მანუჩარის დიდი გასეირნება“ დავწერ. რამდენიმეწლიანი ინტერვალით იგივე რომანი ორ სხვადასხვა ვარიაციაში ცემომენერა: რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ოთახბების დამსვენებელზე გამქირავებელი დაინა და სხვა ზოგიერთი პერსონაჟი უცვლელად დავტოვე, მაგრამ დამსვენებელი სხვადასხვანი არიან. იმ ორიდან ერთი, კადრილი“, ისევ და ისევ მწერალთა სახლის ხელშეწყობითა და დაფინანსებით გამოიცა. მეორე ჯერ არ გამოიმუშავა, თავის დროს ელოდება. სხვათა შორის, „ასეც“ სოხუმური „გადმონაშთია“, იქ ზღაპარი იყო, აქ მომცრო რომანი გამოვიდა. იმავე თემაზე კიდევ ერთი რომანი მაქსელაფიქრებული — თანდათან ლივდება, ლინდება და იხსენება ჩემს წარმოსახვაში. ერთხელაც დაწერას მომთხოვს და არ შევენინაალმდეგები. თავის გამოცდის კიდევ ერთი სარბიელი იქნება. ვნახოთ, როგორი გამოვა. ეგ სხეულებზე მეტად ალბათ თავად მაინტერესებს. არის პერიოდები, როცა მოთხოვბები ან უფრო ვრცელი ტექსტები უამდე მიმყავს და მერე თავს ვანებებს. წლების შემდეგ რომ გადავავლებ თვალს, გული მწყდება, ბოლომდე რომ მივიყვანებ და ვაგრძელებ, ხან რომელს და ხან რომელს, ანწყობის მიხედვით. იქნებ, ასეც ჯობდეს, არ ვიცი. ისეც დიდება, რომ ვინმე საინტერესო ადამიანს გავიცნობ ან უბრალოდ, თვალს მივკრავ ქუჩაში და მიტოვებული ტექსტის რომელიმე პერსონაჟი მომაგონდება — ძალიან ჰერცევს. მივუჯდები კომპიუტერს და ვექებ ხსენებულ ტექსტს. ზოგჯერ ვერ ვპოულობ, რადგან რამდენიმე კომპიუტერი გამიფუჭდა და ბევრი რამ წამეშალა. თადარიგის დაჭრა და მეხსიერების ბარათში გადატანა ყოველთვის მეზარება. ძევლის განახლებასაც თავისი „მულამი“ აქვს. ამას ინათ ბესო ხვედელიერ შემახსენა ჩემი ორი მივიწყებული რომანი, რომელიც თავის დროზე თვითონ დამიბეჭდა ლიტერატურულ პერიოდიკაში. იმ ორიდან ერთი მაშინვე იმოგონდა, მეორე ვერაფრით აღვიდები. ბოლოს ყველაფერი მოვგარდა და ჩასწორების პროცესმაც თავისეური სიამიგრება მომგვარა, ალბათ იმიტომ, რომ უარესს იყველოდი და მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილა. ზოგჯერ დება, რომ დრო გაქცს, მაგრამ ხალისი ვერ მოგდევს პრიბლებების გამო. და ეს პრობლემები თითქმის ყოველთვის, მატიგად რომ ვთქვათ, უფლებასა და ხალიბელ დღეზე ფიქრსა და შიშს უკავშირდება.

— თევები ალიათ მისიად ფიქტორით ია დღე იქ, როცა
ობულში დაბრუნდებით. როგორ წარმოგიდგენიათ
იქვენი მწერლური ცხოვრება იქ — გააგრძელებთ წე-
რას?


— ამ ხნის კაცი ვარ და სოხუმის მერე არასოდეს მქონა, ჩემი სახლი, ჩემი ოთახი, ჩემი საწერი მაგიდა. ძალიან უთრგუნავს, მოვიწყენ ხოლმე, კველაფრის სურვილი უკარგება. მაგრამ მერე გავიფიქრებ, რომ იქნებ ასე იყო აფიქრებული, ასე უნდა მომხდარიყო, და ეს მშველის. ჩემი ლეპტოპია ჩემი სახლიც და ოთახიც განსამარტოვებლად.

ართ თრთის სოფთოში ბრნების წიაღში, კარავა მო-

კანკუკე, დენიც გავიყავანე და იქ განვმარტოვდებოდით იოლმე მე და ჩემი ღებულობი. ის დროც მენატრება — ახლა მისითვის ვერ ვიცლი. მოვა დრო და მოვიცლი. დიდი ალ-ათობით ცხოვრების ერთ ლაბაზ ოცნებასაც ავიხდენ კი მომოგზაურებთ მე და ჩემი ცოლი. მოგზაურობა გონებით ათვის და ფანტაზიისთვის საუკეთესო საკვებია. სოხუმშპლაც და ვაპრუნძდები და სახლსაც აღვადგენ, მამაჩემის სა-ვლავსაც. არ ვიცი, როგორი სახისაა ეს შური — თეთრი თუ შავი — მაგრამ გულწრფელად ვაბძობ, ყველაზე უფრო მათი მშერს, ვისაც როცა მოესურვება მაშინ შეუძლია ასახოს ბავშვობის სახლი, შეუძლია გაიაროს მშობლიურ ქუქაზე, ამის შესაძლებლობა რომ მქონდეს, ასე მგონია, რა საოცის, რა საორზო და იცნობონებ

- ଦୁ ରାମପା ନେ ହ୍ରଦୟ ଧାରଗ୍ବଦା, ରାଖେ ଫାନ୍ଦରି?
- ସେବ୍ରଦିଶେ ଉତ୍ତରକ ତାବାଦ ମାନିନ୍ତରେସ୍ବରଦୀ, ରାସ ଦୁ ରାମପାର ଧାରଗ୍ବର ଧାରନ୍ତରୁନ୍ଦବିଳି ଶେମଦେବ. ପ୍ରେଷାଦିନା, ମାନିନାତ୍ମ ସାହିତ୍ୟମେଲି ଦ୍ଵାରମାତ୍ର ମେହିନ୍ଦବା, ଏଣ୍ଟି କାଳାମିତି ଧାମିଦଲାଗ୍ରହଦେବା ଦା ଓସତ୍ରାତ୍ମକବିଳି ମଥ୍ରିବାତ୍ମ ଶ୍ରୀକୃତି ଶେମିଥାଧ୍ୟବ୍ରଦ୍ଧିଶ୍ଵରି ବିଜ୍ଞେବିଳି. ବେଳେ ଯୁଧମ ମତ୍ତେଇ ସିଗରର୍ଦ୍ଧେବ କର୍ମକାରୀ ଶ୍ରୀକୃତିଧ୍ବନୀ ଶେମଦଗାରୀ ଉସତ୍ରାତ୍ମକାଧେବ ସେରାଗ୍ରେ. ଦାଲିନାନ ତାବମରମନ୍ଦରେଇ, ତିନିକୁ ତ ଦେଇଦିଲେଇଥିବେ, ଏହି ହିଂମଲିଙ୍ଗନ୍ଦିନ ବେଳମେ ମଥାପାରାନ୍ତବ୍ରଦ୍ଧିବିଳି. କ୍ରେମି ବ୍ୟାପାରିରେ ସାକଳାସି ରାତାଥେବିଳି ଯାନିକ୍ରେବ୍ରଦିଧାନାତ୍ମ ମନିହାନ୍ଦା — ଘନିଲିଙ୍ଗବାଦାରିମା. ସାନାଶାବଦରିବାତ୍ମ ଥିଲାଧରନ୍ଦବ୍ରଦ୍ଧିର ରାମ ପ୍ରମାଣି. ତମଦା, ମଧ୍ୟ ଓସତ୍ରାତ୍ମକାଧେବ ମନ୍ଦରାମବିଳି ଅଧିଗ୍ରହନାଶାତ୍ମ ନାମଦିବିଲାଦ ମନ୍ଦରିଶିଶିର୍ବ୍ରଦିବିଳି.

ალფრედ პოლგარი დაიბადა 1883 წლის 17 ოქტომბერს ვენის ერაულ უბანში, ლეოპოლდგტატში. წერდა სხვადასხვა გერმანულებოვანი უზრნალ-გაზეთებისთვის კრიტიკას, ფელეტონებს, პაროდიებს. 1908 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „ბოროტების წყარო და სხვა მოთხოვნები“. ხშირად სტუმრობდა კაფე „ცენტრალს“ და გახლდათ Wiener Moderne-ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1938 წლის მარტში ბოლო მატარებლით დატოვა ვენა, ერთი დღის ადრე ანშლუსამდე. 1940 წელს კი პორტუგალიიდან ამერიკაში გაიქცა. გემზე მასთან ერთად იყო მისი მეგობარი თომას მანი. ამერიკელი მკითხველისთვის უცხო იყო ავსტრიელი მწერლის არა მარტო ენა, არამედ სათქმელიც. ალფრედ პოლგარი მის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და საცხოვრებლად შვეიცარია აირჩია. გარდაიცვალა 1955 წლის 24 პრილს ციურიხში.



ალფრედ პოლგარი

ତୀଳାଜନିରେ ଝିଲ୍ଲାଖଣୀ

რაც მქონდა, იმის ნახევარი მივიკვიდა და არ მაღარდებს,

თუკი ვინმე იფიქრებს, რომ ძუნი ვარ.
ნამდვილად თაღლითია და ეს ხრიკი გამვლელ-გამო-
მცლელის გულის მოსალბობად სჭირდება. მეტზოვეც იც-
ნობს, თორებ ასე გულგრილად როგორ გადახვეტდა ბლ-
ანტ განავალს კანალიზაციაში. მე კი ვფიქრობ, რომ ვინც
ყველას თვალწინ ქუჩაში წევს ორიოდ გროშისთვის, იმსა-
ხურებს კიდეც ამ ორიოდ გროშს. გაისარჯა. სველ, ციც
ტროტუარზე საკუთარი სურვილით ვინ წვეპა? მოხუციც
ამჯობინებდა, ნაცვლად ამისა, მოდების ჟურნალი ეკითხა,
ანდა შობენის მუსიკაზე ეცეკვა, მაგრამ არ შეუძლია. ჰო-
და, იმას აკეთებს, რაც ეხერხება. რაც თავში მოუვიდა,
იმას დაცყვა. ქუჩაში განავალში წევს და ამაში იღებს გასამ-
რჯელოს.

სინამდვილეში კი მქსოველ ჟოზეფინა შტრასერს თავ-
ში არც არაფერი მოსვლია, გარდა საცოდავი აზრისა —
მექჩანებისათვის მიემართა: „ხელზე გემთხვევით, ბატონო
გრაფო“, ან „ხელზე გემთხვევით, ქალბატონი გრაფინ-
ია“. ასე აკონინებდა ორიოდ გროშს. ნადავლით განა კარგ
წიგნს იძენდა ან სახალხო გაზეთს ინერდა, არაყს ყიდუ-
ლობდა. სმისგან დაიწყო მისმა მსოფლმხედველობამ ბარ-
ბაცი, ანდა, როგორც პოლიციის მოხსენებაში ეწერა:
„სულ უჯრო ღრმად ჩაეშვა უსახლკარიბამდე“.

თებერვლის ერთ დღეს, შაბათი რომ დაღამდა და კვირა თენდებოდა, ციონდა. უოზეფინ შტრასერი თავისიას იმ-ეორებდა: „ხელზე გემთხვევით, ბატონო გრაფო“, მაგრამ იმ სუსტიან ლამეს დემოკრატებს შორის გული არავის გალობრიბია. მხოლოდ ერთმა ნიპილისტმა გაიმეტა 20 გრძეში, საკუთარი თავისი საამებლად.

ქალი ტელეფონის ჯიხურში შევიდა. რკინის ფული
მაგიურ ხვრელში ჩაუშვა. გაფუჭებული აპარატი ამუშავ-
და.

„სახელმწიფოს აზრი“ სატელეფონო ცნობარში ვერ ნახა და არც საინფორმაციო სამსახურმა უწყოდა მისი არსებობის შესახებ.


სამაგიდოდ, სახელმწიფო სამსახურში მოხვდა — შეცდომით, როგორც ხდება ხოლმე. რამე მნიშვნელოვანია? პატენტის შესახებ კანონს ეხება? გადასახადებისა-გან თავის არიდებას? მიმტანთა მოხელის რანგში აყვან-ებოთ საკრძოლებას არჩევნისა?

ილუზიის თბილ მკლავებში მოხუცს ჩაეძინა. ესიზმრა, თითქოს სიცოცხლესთან დარეკვას ცდილობდა, რაკი მათხოვრობით ვერ დაუკავშირდა. დარეკა სიკეთესთან — დაკავება იყო, გონება ყრუ დაუხვდა, სიმდიდრე საწლოლში ხერინავდა; ასევე დაურეკა ორგანიზაციას „ყველანი მტები ვართ“. ომშეა მათი ტალათონი საკროთო არ მუშაობდა.

გადაწყვიტა, მოწყვლე ღმერთისთვის დაერეკა. გავი-
და.

ახლა, პოეტი რომ ვიყო, „უზნეფინა შტრასერის ამაღლებას“ აღვწერდი.

ეშვებული ძონძების გორა.
კაცმა თანაგრძნობით გადააფარა ქალს დიდი აფიშა:
„აირჩიეთ ბიურგერულ-დემოკრატიულად“.



საადი შირაზელი

იგავები „ბუსთანის“ პირველი თავიდან



იგავი ათაბაგ თორაზე

ერთ ასეთ ამბავს გადმოგცემენ, სადას და მოკლეს, როს ზენგის ტახტზე დიდებული ავიდა თოქლე.

მისგან არავის მცირედიც არ სწყენია ოდნავ, მხოლოდ ამითაც დაჯაპნიდა მეფეთა მოდგმას.

ერთ ბრძენს შესჩივლა მან ერთხელაც:
არ ჩანს საშველი,
ქრება ცხოვრება უნაყოფოდ, ფუჭად დაგვერი.

ღვთისმოსაობის კუთხეში მსურს, ჩამოვჯდე ჩემთვის და ამ ხუთი დღით ვისარგებლო, თუ მაცლის ღმერთი.

წარმავალია სრა-საჯდომი, ბრჭყვიალა ფარდა, იმ ქვეყნად დავლა ვინ წაიღო, დერვიშის გარდა?!

ბრძენი ამ სიტყვის მოსმენაზე აღმორთდა ძლიერ: საკრისია, თოქლე, ფუჭმა ფიქრებმა გძლიერს.

თარიყათია¹ ხალხზე ზრუნვა მადლის აღვსებით, არა — თასბიჳი², სეჯადე³ და ჯვალო-ფლასები.

მთელ სამეფოზე იბატონე, რამდენიც გინდა, ხოლო ბუნებით, ვით დერვიში, იყავი წმინდა.

მოუხმე მარად სათნოებას, არა — სიფიცხეს, ყედლებაცა და კინკლაობაც გადაივიწე.

ბედის რჩეულნი, დიდეკაცები, რიგად და რიგად, სამოსელის ქვეშ ატარებენ დერვიშის ხირკას.

იგავი რუსი ხელანიშვილისა და ბრძენისა

რუმის სულთანი ერთ სწავლულთან ატირდა მწარედ, თვალთაგან ცრემლის მოაფრქვევდა ჩქერსა და ღვარებს:

მტერმა წარმტაცა მე სვედავისლა მოთმინება და არ შემარჩინა არაფერი, რაც კი მებადა.

რა არ ვიღონე, რომ ჩემი ქე სვეკურთხეული ტახტს დამჯდარიყო და ემართა მხარე ვრცეული.

ვის ვეთათბირო? რით დავიცხრო ეს მწვავე წყლული? კაეშნისაგან გამეცვითა სხეულში სული.

ბრძენმა მიუგო: მოთქმა გმართებს ახლა თავიდან, რადგან ცხოვრების მეტი წილი უკვე გავიდა.

რაც დაგრჩა, ეგეც იკმარე და პმადლე მესიას, წახვალ და ტახტი სხვას დარჩება, როგორც წესია.

გინდა, მართავდეს გონივრულად და გინდა — ავად, შენ რაღას დარდობ, თავის თავზე იდარდოს თავად.

არ ღირს ამდენი ჭირის იფლის დასხმა და გარჯა, ქვეყნის დაპყრობა, დათმობა და უაზრო ტანჯვა.

ამ ხუთოდე დღისთვის არ ღირს სახლის აგება, განა, საწუთო სამუდამოდ გებადაგება?

ხსოვნიდან სახელს ხელმიწიფეთა როგორ წაშლიდი ფერიდუნის და ზაპაქის და დიდი ჯამშიდის.

არ მიინავლა მათი ტახტი უამთა სვლის მიერ? ამ ქვეყანაზე მხოლოდ უფლის სამეფო ჰგიენი.

ვის აქვს იმედი ქვეყანაზე მარად დარჩენის, მარადიულად აქ არავის ტოვებს გამჩენი.

ვისაც ოქრო აქვს და სიმდიდრე უდგას თავდებად, მისი ქონებაც წაწილ-წაწილ განიავდება.

ხოლო ვინც ქვეყნად სიკეთის წიგნს არასდროს კეცავს, მისი დიდება უსათუოდ შესწოდება ზეცას.

კარგი სახელი ამ ქვეყანას ვინც არ მოჰქინა, თითქოს ამ ქვეყნად ყოფილა და არც კი ყოფილა.

ზარდე სიუხვის ხე მარადუამს, ბედის კმაყოფით, დაჭმინიკება თუ გნადია მისი ნაყოფის.

იყავ მოწყალე, ხვალ განკითხვის დღე რომ დადგება, სიქეულის გამო მოგანიჭებს პატივს განგვება.

მცდელობის ნაბიჯს ვინც წინა დგამს დაურიდებლად, ღვთის კარიბჭემდე ამაღლდება მისი დიდება⁴.

ხოლო ვინც ირჩევს მზაკვრობას და მრავალ აბრუნდებს, ვეჭვ, რომ წყალობის სიტკბოებით როსმე გაბრუვდეს.

თითებს დაიკენს, უარესიც, ალბათ, მოუგა, რადგან თონეში არ ჩააკრა პური დროულად.

ყური დაუგდე შეგონებას და სიტყვას მართალს, ვინც შარცვალს არ თესს, აბა როგორ მოიქის თავთავს?!

იგავი გთარვალი გეართვალისა და განდეგილისა

ბრძენი ცხოვრობდა ერთ დროს შამში, მართლის მყოფელი, რომელმაც სრულად მოიკეთა წუთისოფელი.

ამიორჩია საცხოვრისად პატარა ეხი, ბედით კმაყოფის საგანძურთან მოირთხა ფეხი.

ასე მსმენია: ხოდადუსთი ერქავა სახელად, ზინო — ანგელოზი, ხოლო კაცის ჰერნდა სახება.

ხშირად სტუმრობდენ მის სავანეს დიდებულები, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან იგი სრულებით.

წმინდა არიფი მუდამ ლოცვა-ვედრებად დგება, ლატკაის ფლასებს იცვამს, რათა მოაშთოს ვნება.

როს სამშვინველი ცოდვას სთხოვს და ბინით აშინებს, გადატავებას აიძულებს თავად სამშვინველს.

სამეფოს, სადაც ეს ბრძენკაცი ცხოვრობდა მწირად, ერთი მტარვალი განაგება, გლახაკთა ჭირად.

სუსტსა და უძლურს იგი სიტყვას ეტყოდა მექისეს, ჩაგვრით და რისხით ასწორებდა მინასთან მყისვე.

ავაცობისთვის ის უწყალო მრავალგზის ძრახეს, მისი რისხისგან შექმუხვნოდა ქვეყანას სახე.

გაექცა ხალხი (ის კი თავის სვე-ბედს ისპობდა), ქვეყანას მოსდეს მისი ზნე და მისი გლისპობა.

ხოლო ვინც დარჩა, მათაც გული ექცათ ნაფლეთად, წყევლიდნენ მეფეს, ვინც მრავალგზის რისხვა აფეთათ.

იქ, სადაც მეფე სპობს ქვეშევრდომს მთასა თუ ბარში, როგორლა ნახავ ხალხის ბაგეს ღიმილად გაშლილს?

მწირთან მღვიმეში მოდიოდა ზოგჯერ ტირანიც, თუმც, ხიდადუსთი არ ყოფილა მისკენ მზირალი.

ერთხელაც მეფე ასე უთხრა: ღირსო დიდების, რატომ მარიდე სახეს მუდამ გაბედითებით?

შენთან მოყვრობა მწადია და არ გიმზერ ქუშად, შენ კი რატომდა მიგაჩინივარ მოსისხლე ღუშმად?

არ გთხოვ მოპყრობას სხვაზე უკეთ, არათუ შველას, მეც მომექეცი ისე, როგორც შენს ირგვლივ ყველას.

მეფის სიტყვებმა მწირის გული რისხით დადაგა, გაგულისდა და უთხრა: აბა, ჭეუ სადა გაქეს?!

შენგან ვალალებს მთელი ერი, ებურვის თალხი, როგორ შევრაცხო ჩემს მოყვარედ მჩაგვრელი ხალხის?

ჩემი მეგობრის მტერმა რისხით ორად მოგვხარე, როგორ მივიჩნევ მეგობრის მტერს ერთგულ მოყვარედ?

შენთან მოყვრობა თავად გულმა არ მომასურვა, რადგან თვით უფალს მიაჩინიარ მტრად და აგსულად.

ჩემს ხელზე მთხვევას, დაიხსომე, ანებე თავი, ვისაც მომედ ვთვლი, მყისე მათთან შეჰკარი ზავი.

ღვთისკაცი თუნდაც გახდეს რისხვა-წამების წერა, მტერს მეგობრისას არასდრეს მიაპყრობს მზერას.

მიკვირს, იმ გულქვას მშვიდად სძინავს, როგორც შოშიას, ვისი რისხითაც სატანჯველი ხალხს არ მოშლია.

ახავი ამგავი უკოვართა მიმართ ყურადღებისა

დარიბს წუ ჩაგრავ, შეძლებულო! წლები გადიან, ხოლო საწუთო მერყევი და ცვალებადია.

უმწეოს ხელებს წუ მოუგრებ, წურც შფორში ჩარევ, თუკი იღესმე მოგიხელთა, განაწებს მწარედ.


მტერს წუ აღიქვამ უმნიშვნელოდ, მაგ ნიშნის გებით, დიდ მთად იქცევა დაზინული პატარა ქვები.

როს შეერთდება ჭიანჭელის თაბუნი მტკიცედ, ლომსაც დაიფრენს, მის დიდებას ნიავ-ქარს მისცემს.

თმაზე წვრილია ძაფი, თუმცა, დართული მტიდროდ, აღემატება ძატე კუცე ჯაჭვს და ელვარე ლითონს.

ფეხს წუ დაუგდებ საბრალო ხალხს, თუ გსურს დაგინდონ, შენც წაიქცევი, თუკი ზეცამ ფეხი დაგიდო.

განძის შენახვას სჯობს მოყვასთან გულდამება, ხაზინის დაცლ



თიბის გაღაზის პონსულტანტი,
რომელსაც მომდევნობლის
ფახების სიმრავლე აშინებდა

იცყვება ესე ამბავი თამარა კონსულტანტისა, ან შემინებულ მძაფრადა ფერხთითა მომზარებლისა.

სულ რაღაც ექვემი თვე გავიდა მას შემ-
დეგ, რაც თამარა ნიგნის მაღაზიში დაი-
წყო მუშაობა. თავიდან ყველა წერილმანი
საინტერესოდ ეწევნებოდა — ნიგნის სანი-
შნი ნიკშეს გამოსახულებით, მაცივარზე
მისაკრობი „პორტნიოს სინდრომის“ გარე-
კანის პრინტით, ფერადი პასტები... თუმ-
ცა ნელ-ნელა ყველაფერი მოპებეზრდა.
დღეები ერთმანეთს ემსგავსებოდა. მომხ-
მარებლების რაოდენობამაც იმატა, ამი-
ტომ სამსახურში მეცადინებას ვეღარ
ახერხებდა. მომხმარებელთა უმეტესობა
მბრძანებლური ტონით მიმართავდა, რაც
დედისერთა ხელის გულზე გაზრდილ თამ-
არას დიდად არ ეპიტნავებოდა. ერთი ხან-
შიშესული მამაკაცი მიღიოდა ხოლმე მა-
ღაზიში, რომელიც უშნოდ ეფლირტავე-
ბოდა ჩვენს 20 წლის თამარას. ერთხელ
იმდენად შორს შეტოპა კაცმა, რომ თამა-
რამ ქოლგას დაავლო ხელი, აპირებდა
თავში ჩაგრძო დონ ჟუნისთვის, თუმცა,
ამ კაცის ბედად, თამარა მის უკან კერე-
თის მოთხოვნების კრებულს შეავლოთვა-
ლი, წაკითხა თუ არა „ეგ არ ქნა“, მაშინვე
ძირს დააგდო ქოლგა. დიდად მორჩმუნე
კი არ იყო, მაგრამ ასეთი დამთხვევების
სკეროდა და თავიც ამიტომ შეკიარა.

ერთ დღეს თამარას ორი სრულიად განსხვავებული მოქმედარებელი ჰყავდა. დილით პატარა ბიჭმა შეირბინა მაღაზიაში, რომელიც დედისათვის საჩუქარს ექცედა და და რჩევა თამარას ჰკითხა. ამ ფაქტმა გული ისე გაუთბო, რომ კარგ ხასიათზე დადგა მანამ, სანამ 12:07-ზე შუახენის, შავ კაბაში გამოწყობილი ქალბატონი არ ესტუმრა. ქალი ჯერ ფასებზე ეჩჩუბა საწყალ თამარას, მერე წიგნების განლაგებაზე, ბოლოს კი იმაზე, გულგრილდ რატომ მპასუხობ შეკითხვებზეო. თამარამაც არ დაკალო და სიტყვიერი ორთაბრძოლა გაუმართა. ქალმა, რომელიც თამარამ შემოსვლისთანავე სოფელში ნანას შავ დედალს მიასგავსა, წიგნის მაღაზიის ცხელ ხაზზე დარეკა და უთხრა, თქვენს ფილ-

იალში ერთი თვალებდაჭყეტილი გოგონაა, რომელიც აგდებულად მექცევა და უშვერი სიტყვებით მღანდავსო. თამარას ტვინში სისხლი აასხა, იფექრა, ამ ქალს ცოცხლად შევჭამო, „კაპიტან ტრიკოს“ ხელი წაავლო, რომ თავში ჩაერტყა შავი დედლისთვის, თუმცა უცებ გაახსენდა, დათო უდენტის პერსონაჟი რომ ეუბნება „შერეკილებში“ ვასილ ჩხაიძის პერსონაჟს: ნუ შეჭამ რა, ბიძია, მაი კაი ქათამი იყოო... ამიტომ „კაპიტანი ტრიკო“ გვერდზე მიაგდო და შეეცადა, ქალი დაემშვიდებინა.

სადღესასწაულო დღეებში წიგნის მაღაზიაში რამდენიმე კონსულტანტი ჰყავთ, რომ მომხმარებლის უკაყოფილებას თავით აარიდონ. მაღაზიის ოთახის მარცხენა კუთხეში, დახლიდან ერთი საფეხურით ქვემოთ, პატარა კოხტა სავარძელი დგას, რომელშიც ჩაესვენებოდა ხოლმე დაღლილი თამარა თუ თავისი დასვენების ჟმი იდგა. ამ სავარძლიდან თამარა, მისდა უნებურად, შემოსული მომხმარებლის ჯერ უეხებს ხედავდა და შემდევ სახეს, ამიტომ მუდმივ მომხმარებლებს ფეხსაცმელებით, შარვლის ტოტებით ან კაბის კალთებით უფრო მარტივად ცნობდა, ვიდრე — სახით. პირველი შოკი თამარამ მაშინ მიიღო, როცა დეკემბრის ბოლოს მაღაზიაში ფას-დაკლებები დაიწყო. მომხმარებლების ნაკადი არ წყდებოდა. რამდენი ადამიანიც შემოდიოდა, ორ იმდენ ფეხს ხედავდა. საქმე იმდენად გართულდა, რომ მუდმივი მომხმარებლის გარჩევაც გაუჭირდა გოგოს. შობის წინა დღეს ზღვა ხალხი მიაწყდა მაღაზიას, საჭმელად გასვლაც ვერ მოსწრო თამარამ, მთელი დღე ფეხზე იდგა და მომხმარებლებს ემსახურებოდა. ერთი საათიღა იყო დარჩენილი მაღაზიის დაკეტვამდე, რომ შეორე კონსულტანტს საჩქარო საქმე გამოიუჩნდა, თამარას ბოლოშის მოხდით დაემშვიდობა და სთხოვა, რომ მაღაზია მას დაკეტა. ბოლო ერთი საათი საშინლად გაინელა, მთელი სასიცოცხლო ენერგია რომ გამოეცალა გოგონას, ათმა საათმაც ჩამოკრა. თამარამ კარი ჩაეცეტა, სალაროში ფული დაითვალა, აპარატზე X ამოარტყა და დასასვენებლად სავარძელო

ში ჩამოჯდა. რამდენიმე წუთი აპარატში
ამორტყმულ X-ზე ფიქრობდა. რაღაც მო-
მენტში ყურადღება მოადუნა, X-ები თავა-
ში დაუტრიალდა, უცებ გაითიშა და თვა-
ლები რომ გაახილა, უკვე გათენებულიყო
თამარამ კარისყენ გახედა და წითელ ფა-
სსაცმელებს მოჰკრა თვალი. წითელფას
საცმლიანი ადამიანის გვერდით პატარ-
საყვარელი ძალი იდგა და კუჭა აქტივინ-
ებდა. თამარამ თავი ასწია და წამოდგომ-
დააპირა, მაგრამ უეცრად შიშისგან ისე
სავარქელში ჩავარდა. კართა მხოლოდ
ფეხები იდგა და კარზე აკაკუნებდა, წელ-
ზევით კი სიცარიელე იყო. თამარამ თვა-
ლები მოიფშვიტა და, მიუხედავად ამგ
ვარი უცნაურობისა, გადაწყვიტა კარი მა-
ინც გაეღო. გააღო თუ არა, ფეხადამიანი
ძალლთან ერთად მაღაზიაში შემოვიდა და
პირდაპირ საბავშვი წიგნის კუთხეს მივარ-
და. ერთ წამს შეყოვნდა, შემდეგ ძალლ
მარჯვენა ფეხით რაღაც ანიშნა და მოე-
ლენების განვითარებას დაელოდა. თამა-
რამ თვალის დახამხამებაც უერ მოასწრო-
რომ ძალლს პირით უკვე ფრენ ბაუმი
წიგნი ეჭირა. წითელფეხსაცმლიანი ფეხა
დამიანი თამარასთან მივიდა, მარცხნი
გადაიხარა და კაბის ჯიბიდან ორი ოქრო-
მონეტა ჩაუგდო სავარქელში. ძალლმა ერ-
თი შეჰყვეფა და პატრონს მაღაზის გასას-
ვლელისკენ გაუძღვა. წითელფეხსაცმლ-
ანი სტუმრის გასვლიდან მაღვევ მაღაზი
ასთან თეხაბის რიგი დადას შემოთილო-

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწვრთნელობა სახელი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
უურნალისტი თამარ უურული

მობ.ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

